



შ ი ნ ა რ ს ი



უცნაულ „ჯეჯილისა“

I	სურათი. ქრისტე ღმერთი ლოცავს ბავშვს	130
II	ჩემს ბატყანს ლექსი შ. მღვიმეჯისა	131
III	საბურთალოს ქუჩა, № 40. სააღდგომო ამბავი დ. გე- დრებისეჯისა	132
IV	ჭიტა! ლექსი ვ. რუსაძესა	139
V	კურდღელი, კორეული ზღაპარი ანწიჯისა	140
VI	ერთი ფოლთქის თავგადასავალი (ვა. დმოკეთებული) გვ. მესხისა	143
VII	ილო და ჩიტი ლექსი შ. მღვიმეჯისა	152
VIII	სრუმორწმუნეების მსხვერპლი ზ. დგანჯისა	153
IX	წვრილმანი: ხალხური, ზნა, რებუსი და ახსნა	160
<hr/>		
X	ღამე. ლექსი დ. თურდოსანიჯისა	161
XI	ბიძიას ნაამბობი (გაგრძელება, ად. ნათაძესა	164
XII	კირი შედგენილი ნ. წუწუნავასი	170
XIII	ჩარლზ დიკენსი გვ. გაბაშვილისა	175
XIV	ჩარლზ დიკენსის ცხოვრება გვ. მესხისა	177
XV	მტკვარი, კოროხი და რიონი, მგზავრის დღიურიდან ად. ალსანიშვილისა	187

ჯეჯილის 1912 წ. ხელის მომწერლებს საჩუქრათ დაურიგდებათ დასურათებული ზღაპარი

ლ მ მ - კ ა ს ი

ვიწრგა წერეთლისა.
და

ცხელი ქვეყნის ცხოველები

შედგენილია ად. ჭიჭინაძის მიერ
მორთული სურათებით.



საქმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი.

იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..

ი. დ.

მარტი, 1912


◆ წელიწადი მეოცდასამე ◆

თ ბ ი ლ ი ს ი
ელექტრომბეჭდავი „ზრომა“, მუხრანის ქ. № 12.
1912



ქრისტე ღმერთი ლოცავს ყმაწვილს.

თბილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა
1911



ჩემს ბატკანს.



ემო ჰაწია, ბატკანო,
უმანკო თვალებიანო,
თეთრ-წაბლა ბოჭკოთ მორთულო
ჯერ ისევ ბუსუს რქიანო!

ვის დაჯანებებ შენს თავსა,
როდისმე დასაკლავათა,
სიკვდილს მე თავად შევძოსნავ
შენის სიცოცხლით შავათა.

შენებრ ჰატარა ბატკნები
ქრისტეს უუვარდა თავათა:
ზრდიდა და აუვაფილებდა
დედ-მამის სალოცავათა.

შენსავით ლამაზ ბეკეკას
ვინ კანიტებს ავადა,
თუ არ ჰირ-შავი სიკვდილის
ქცეული მუცელ-სვაავათა.

მ. მღვიმელი.

საბურთალოს ქუჩა, № 40.

(საადგილო ამბავი)




თორმეტი წლის ჭრელ-თვა-
ლა ირაკლი, მესამე კლასის
შეგირდი, შინ იყო, თუძცა
სუუველა მისი ამხანაგები
თავ-თავიანთ ადგილზე
ისხდენ სასწავლებელში.

მეორე კვირა სრულდებოდა
რაც ირაკლი სასწავლებელში
აღარ დადიოდა.

ქვრივი მარიაში ავადმყოფი ჯანით მუშაობდა, ზოგს
საბნებს და ლეიბებს უკერავდა, ზოგს
სარეცხს ურეცხავდა. ეს იყო ერთი
ერთი წყარო მათი ცხოვრებისა და
ოთხი სული იუვენ საშინელ
გაჭირებაში: დედა თავისი
საში შვილით.

ირაკლის არ ჰქონდა არც ფეს-საცემელი,
არც თბილი ზალტო, ამას კიდევ
ჯანი გავარდეს, იმდენი დღე
იმას მისცეს ღმერთმა, რამდენი
დღეც ეს საცოდავი ბავშვი
მაგბატით მირბენილა სასწავლებელში,
მაგრამ ახლა იმას აწუსებდა
სხვა დარდი: დედამ ვერ შეიტანა
თხუთმეტი მანეთი და ირაკლი
აღარ მიუშვეს სასწავლებლათ.

ემაწვილი იჯდა ფანჯარასთან
თავის ცივ დაბალ



ჭერის ოთახში და დაღონებული თვალებით გასცქეროდა ქუჩას.

დედა სამუშაოთ წავიდა. ორი ჰატარა ქალი ეხვეოდნენ ძღვიძელს და რაღაცას სარძავედნ.

* * *

ჩვეულებრივ ფოსტაში ბევრი ხალხი ტრიალებდა, მეტადრე სადაც გასაგზავნ ფულს იღებენ სოლმე. უცებ იქ შევიდა მარიამი დიდი კონვერტით ხელში და კუნჭულში განყრდა; ათვალიერებდა იქ მდგომ ხალხს, თითქო რაღაც უნდა ეკითხა.

ერთმა კვრობიულათ ჩაცმულმა ქართველმა ქალმა უურადღებო მიაქცია ამ დედაკაცსა და ჰკითხა:

— ვის ეძებთ?



— არავის გენაცვებ, „საკახნოი“ წერილი უნდა გავუგზავნო... არ ვიცი საით წავიდე.



ქალმა უჩვენა კარები, საიდანაც უნდა მარიაში შე-
სულიყო მეორე ოთახში; იქ იდებდენ „საკანონი“ (და-
საკვეთ) წერილებსა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მარიაში დაბრუნდა ისევ
კონვერტით ხელში, შეწუსებული სანით.

— არ მიიღეს? — ჰკითხა ქალმა.

— არა. ისე ვერ არისო დაწერილი, როგორც უნდაო.

ქალმა გამაზრთვა კონვერტი, დახედა და უთხრა:

— მოდი ეს კონვერტი დავხიოთ, ახალზე მე თვი-
თონ დაგიწერ.

— რო არა მაქვს ფული, მარკაც აკლიაო, —
დაიღრჩია მარიაში.

— ნუ დარდობ, აი ათი მარკა — ქალმა გაუწვი-
დინა თეთრი ფული — იგივე კონვერტი, აქ ახლო დუ-
ქნებია; მარკაც მოიტანე.

— უიძუ! როგორ შეგაწუხო!

— რა შეწუსებაა? მენ ოღონდ ჩქარა მოდი. სანამ
მე ჩემ ფულს გავგზავნი.

მარიაში რამდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდა კონ-
ვერტით და მარკით ხელში.

ქალმა საჩქაროზე გადახია კონვერტი

— აბა, გენაცვანახე არა, როგორ არის დაწერილი?

ქალმა წაიკითხა.

ირაკლი ერთ დიდ კაცს სწერდა თავის გაჭირებას
და სთხოვდა მოწუხლებას.

— არა უშავს-რა. როგორც ბავშვს ეკადრება, ისე
დაწერილი.

— გამოვა რამე?

— აბა რა გითხრა! იქნება შენ შვილს ბედმა უწიოს!
 — აი ეს თქვენი ფულის ხურდა, დიდათ გმადლობთ.
 — არ მინდა ხურდა; მაგით ჰური უეიდე შვილებსა.
 მარიაძმა დალოცა ქალი; ამან ახალ კონვერტში
 ჩადო ბავშვის ნაწერი, ლამაზათ დააწერა ადრესი და
 დაბეჭდა

— აბა, ფოტოს მოხელე ასლაც უკან დაგიბრუნებს ამ კონვერტს?

ქალმა თავისი საქმე გაათავა, ის იყო ჩადიოდა ქვეით კიბეზე, როცა შემოესმა მარიამის ხმა:

— ისაროს შენ მარჯვენამ! მიიღეს კონვერტი, აი კვიტანციაც.

* * *

ბაბო მურგაძეს სკოლა მთელ ქალაქში განთქმული იყო. ვისაც-კი ჰატარა ღონისძიება ჭკონდა, სუეველა მშობელი ცდილობდა თავისი შვილი იქ მიეზარებინა. მართალია კარგათ დაეუბნებულ კერძო სკოლები სხვაც ძრავალი იყო, მაგრამ ხალხს იზიდავდა ბაბო თავისი ცოდნით და კეთილი გულით. არ შეეძლო გულ გრილათ დაენახა ვისიმე ტანჯვა. ის სრული ბედნიერი იყო, როცა რითიმე უშველიდა ვისმე გაჭირებულს, უბედურს.

მხელი დასავიწეი იყო მისთვის ის მცირე შემთხვევა, რომელსაც წააწედა ფოსტაში.

მან კარგათ იცოდა ჰატარა ირაკლიმ სადაც გაგზავნა თხოვნა და ისიც იცოდა, რომ უარი მოუვიდოდა... მაგალითები ძრავალი ენახა. მოაგონდა მარიამის ადრესი—არსაში იყო მოთავსებული...



ბედნიერ დღეებში ღარიბ-ღატაკის მდგომარეობა უფრო თვალსაჩინო და შესაწუხარია.

— ჰასკა, ვიჩინა კი არა, ვინ იცის ჰური და ჩაი კი ექნება? გაიფიქრა ბაბომ და მოაგონდა მარიაშის მდგომარეობა. — ავათმეოფი დედაკაცი მუშაობს და განა იმდენი რა უნდა იშოვოს, რომ სამ ობოლს გასწვდეს! მან დაუძახა თავის მსახურს.

— ბესო! ვიცი დღეს ბევრი საქმე გაქვს, მაგრამ ნუ დაიზარებ, ერთი თხოვნა უნდა შემიხრულო!

— რა, ქაღბატონო?!

— აი რა! საბურთალოს ქუჩა ხომ იცი?

— ოჰ! — დაიღწიჯა ბესო — შორს არის აქედამ.

— კონკით წახვალ, რა გიძავს.

— აბაზი მოძინდება.

— ორ აბაზს მოგცემ, ოღონდ წადი.

— ბატონი ბრძანდები. მეესოვს უბრძანეთ ხალიჩები გამოიტანოს, მოვალ და დავბერტყამთ...

— კარგო, შენ წადი ჩაიცვი, მე წერილს მოვამზადებ.

* * *


— მარიაში ძალაშიმე აქა დგა?! — იკითხა ბესომ. როცა თავი შექუო, ჰატარა ბნელ ჭუჭყიან ეზოში. ერთ კუნჭულიდან ვილაც ბებერი კაცი გამოჩნდა და გაკვირვებით შესედა ბესოს.

— ეს სახლი რა ნომერია?

— საბურთალოს ქუჩა, № 40, ვის კითხულობ?

— მარიაძე ძალაშიმეს.

— რათ გინდა?



— წერილი მაქვს.
იმ წამში ზივანზე გამოვიდა მობუსული, აბრანძუ-
ლი დედაკაცი.

— მარიაში შალაშიძე რომელია? — გაიძეორა ბესომ.

— რა ცნებაში? ძე ვარ.

— წერილი მაქვს თქვენთან.

— მობძანდით! — მიიწვია მარიაშია ბესო.

— თქვენ უფროს შვილს სახელათ რა ჰქვია?

— ირაკლი.

— აი, ამ ქაღალდზე ხელი მოაწერეთ, რომ მიი-
ღეთ ეს წერილი.

— რა? ვისგან?

— გახსენით, არ ვიცი ვისგან... ფრთხილათ გახ-
სენით.

მარიაშს გაუგვირდა. იმ არხის უარი უკვე მოუვი-
და, ერთი კვირაც იქნება, ნეტავი ახლა ვისგან იქნება? —
ეკითხებოდა თავის თავსა.

— ნეტა ვინა ძწერს.

კონვერტი რომ გახსნა და წითლათ რაღაც დაინა-
ხა ხელები აუკანკაღდა.

— დმერთო ჩემო! ეს რა არის, ვის მოვაგონდი!...

ბარათში თუმნიანი იღო

... „ეს მცირე ფული მოახმარე შენ ობლებსა, შენც
დაუსვდი სინარულით აღდგომას. თუ შევიძლე, კვლავ
კიდევ გიშველი. ვეცდები ირაკლიმაც სწავლას თავი არ
დაანებოს.“ —

ამის მეტი არა ეწერა—რა ბარათში, მარიაშია ვერ



გაიგო, ვინ იყო ეს კეთილი სული, არ ეწერა არც სხვა
სული, არც გვარი, არც ბინა.

— ამ ფულის მიღების ბარათი მიბოძე! — სთხოვა
მარიამს ბესოძა.

— ძმაო! შვილო! მითხარი, ვინ გამბედნიერა ასე?
ვინ არის ის ანგელოზი, რომელმაც ასე გაახარა
დღეს ჩემი ობლები?! ერთი კვირა ავათა ვარ და შიმ-
შილით ვინოცებოდა...

ბესომ აიღო ბარათი, გაუღიმა ბავშვებსა და საჩქა-
როსე ჩუმათ გამოვიდა სახლიდან.

* * *

თითქოს წუგდიადში მზის სხივებმა შემოაშუქესო, ისე
გამოცოცხლდენ ეს ოთხი ბედკრულნი.


მარიამმა საჩქაროსე ტანთ გადაიცვა და ახლო დუ-
ქანში წავიდა და მოიტანა — ჩაი, შაქარი, ჰური...

როცა თავიანთ ჰაწია ოთახი ლამაზათ, სუფთათ
ძილაგეს, დედაშვილნი სავაჭროთ წავიდენ.

ეს საცოდავებიც სინარულით ეგებებოდენ აღდგომას.

დ. ვედრებისელი.





ჭ ი ტ ა ა!


მოკვდა ღამე. დიღამ ტურფათ
გაიღიმა, გაიცინა
და მხემ მწვანე არე-მარეს
შუქი უხვათ მიმოფინა.

—

ბადში ვარდი გააშალა,
ბუჩქნარებს ქვეშ—ნაზი ია
და ბუღბუღმა ხმის რაკრაკით
შემოსძახა ტია-ტია!

—

კიკლაც ახტა ლოგინიდან,
უცბათ თვალი გააჭყეიტა
და ფანჯრიდან გადმოშეებულს
მხეს შესძახა: მხეო! ჭიტა!



კურდღელი.

(კორეული ზღაპარი)



ღვის ხელმწიფე ავად გახდა. ექიმ-
მა თევზმა მოახსენა: მხოლოდ
კურდღლის ღვიძლი გიხსნის სი-
კვდილისაგანაო.

მაშინვე აფრინეს კეტა *) კურ-
დღლის დასაჭერათ. კეტა გაცურდა, მაგრამ ნაწილს
რომ მიუახლოვდა ანკესს გამოეხა.

ლოქო გაგზავნეს, ისიც ანკესმა იმსხვერპლა.

მაშინ ანკარა გაგზავნეს. ამოცოცდა თუ არა ან-
კარა დედაძინაზედ, ურემს ქვეშ მოჭევა და გაიჭედიტა.
ასლა კუ გაგზავნეს.

კუმ იპოვა ძეცვთა ძეფე-ვეფხი და მოახსენა:

— შენ ძეფე ხარ, ჩვენცა გვევაჲს ძეფე. ჩვენი ძე-
ფე კვდება და ექიმმა გი ურჩია, თუ კურდღლის ღვიძლს
არ მიიღებ, ვერ მოწიხებიო.

ვეფხმა მიუხმინა და ბრძანება გასცა—კურდღელი
მიეყვანათ.

— წადი, ბრძანა ძეფემ:—ამ კუს გაჭეფვი, შენ
ზღვათა ძეფე გიწოდებს.

მისდევს კურდღელი კუს და ცდილობს გაიგოს
რა ჭსურს ზღვათა ძეფეს იმისაგან.

კუმ ეკვლავფერი უახებო.

*) კეტა, თევზია.



— მერე მე რომ დვიძლი ამომაცალონ, სომეხებთან ვიცოცხლებ?

— მაგისი-კი რა მოგახსენო, მაუგო კუმ.

— მაშ იცი, რა გითხრა, მე ერთი კოჭლი ნათესავი შეგვს. დიდი ხანია ჩივის—ეს ჩემი კოჭლი სიცოცხლე, რა სიცოცხლეაო. თქვენი მეფისათვის-კი მგონი სულ ერთი უნდა იყოს ვისი დეაძლიც არ მიიჩთვას—კურდღლისა-კი იყოს. შენ აქ დამიცადე, მე ან იმ ტყეში გავიქცევი და ახლავ კოჭლ კურდღელს მოგიყვან.

— ჩემთვის სულ ერთია, სთქვა კუმ და კურდღელი გაუშვა.

კურდღელი ტყეში შესტა და აღარც გამოჩენილა. იცადა, იცადა კუმ და თავის მეფესთან მიხობდა. მეფემ გაიგო რაც მოხდა და უბრძანა ხელ-ახლათ წასულიყო მხეცთა მეფესთან.

კუმ უამბო მხეცთა მეფეს კურდღელი როგორ გაეპარა.

— წადი შინ, უბრძანა მეფემ:—შენ ის კიდე გაგმქცევა, მე უფრო საიძედო ჰირს გამოვატან.

კურდღელმა გაიგო, რომ მას ემებდენ და გაიფიქრა:

— ახლა-კი ჩემთვის სულ ერთია, რაკი უნდა მოვკვდე ხუნსუხათ *) გადავკაცევი.

და კურდღელი ხუნსუხათ იქცა.

ერთხელ მან დაინახა, გზაზედ კუ მიხობავს.

— საით მიდისარ? ჰკითხა კურდღელმა.

*) ხუნსუხი—ყანადია.

— თქვენ მეფესთან მივდივარ, უნდა მოვასხენო
 ნულა შესწუხდება: ჩვენი მეფე გარდაიცვალა კიდევ.

მაშინვე კურდღელი დაწინაურდა, ჩაცუცქდა თავის
 მეფის წინ და მოასხენა:

— გავიკე, დიდო მეფე, თურმე ჩემი მოსვლა
 კიბრძანებია, აი გეასელი.

— აქამდის სად იყავი?

— მე ჩინეთის მხარეს ვასლდით, მიხროდა ჩემი
 შორეული ნათესავი მენახა.

— მაშინ კუს რათ გაექეცი?

— კი არ გავექეცი, დავეთხოვე. ჩემს შაგიერ ჩემი
 კოჭლი ნათესავი აღუთქვი. აი ამ კოჭლთან გავექეცი.

— მე რე?


— არ წამომეკა, ამბობს, სიკვდილი ჯერ არ
 მინდა.

— არ უნდა და შენ წადი ზღვის მეფესთან.

ამ დროს კუ მიცოცდა და მოასხენა: ჩვენი მეფე
 გარდაიცვალა.

— მოკვდა და მოკვდა, სთქვა ვეფხმა, კურდღელი
 გაანთავისუფლა—და დაასახურა კიდევ.

არჩილა.



ერთი ფოლახის თავგადასავალი.

(გუბღენი ნაკუშა ღ—ძეს).



ნდა ჩემი თავგადასავალი მოკითხნოთ. სამ მოგესხებოთ, ფოლახიც არი და ფოლახიც: უკვლანი ერთი ღირსებისანიკი არ არიან. აი თუნდა, ძაბლითად, ის ფოლახი, რომელიც ღიხას ფესსაცმელზე აკურია, განა ის ფოლახია? ერთ რადაც ძვე უბრალო მძიუსა ჰტავს. ძირს რომ ეგდოს ურბაღებას არც კი ვინმე მიხეცევს. მე-კი სულ სხვა ვარ: ღითონის დიდი ფოლახი, რკანისაგან გამოჭრილი, დავერცხლილი, და ვეება ძაბარი კურწი ძაქვს. მაგრამ საქმეაძაში არ არის, ჯარის კაცის ფოლახიც რკინისაა, მაგრამ რა გამოვიდა? მე დიძნაზიის მუნდირის ფოლახი ვარ და განვებ გაკეთებული, რომ ის დაუბძვენო. მაქსადაძე მე სიბრძნეს, აღზრდას და ბავშვების განათლებას ვემსა ურები.

დიდი ხანია ძას აქეთ, რაც მე და ჩემი ამხანაგები ერთ დიდ რკინის ფურცელზე მხატვარმა დაკუსტა. ერთმა ხელოსანმა ძჭრელი მაკრატლათ გამოკეჭრა, ზირები მოგვიღუსა და ძაბარი კურწები კაღით ძიამაგრა. შემდეგ ჩემ ამხანაგებთან ერთად დასავერცხლათ გავკვსავნეს, როცა დავბრუნდით ჩვენმა ჰატრონმა მოწაფეებივით, თითო დიუჟინობით, სქელ ლურჯ ქაღალდზე ჩამოგვამწკრივა და დუქანში გესაუიდათ გავკვსავნა, დუქანში მე დიდხანს არ დაწრჩენილვარ, ერთმა საუკეთესო თერმმა მივიდა და ღამას, კონტა



გიძნახიელს მუნდირზე დამაკერა, მერე ისიც სად, ჰირსა და ჰირსა საუელოსთან. ეს მუნდირი ჰატარა თედოსი იყო.

როდესაც ეს მუნდირი თედოსს ჩააცვებს ისე უხდებოდა და ამძვენებდა, რომ დედ-მამა თვალს ვეღარ ამორებდნენ და ჩემს სისხარულს და აღტაცებას სომსა სხდვარი არა ჰქონდა. ესა ვიგობენ თუ რა მოვალეობაც მაწევს: უნდა გური უკდო თედოსს სწავლას და კარგი კაცი გამოვიყვანო.

თედოსს ახალი მუნდირი, ბრჭყვიალა ფოლაქებით, ისე მოსწონდა რომ აღარ იხდოდა და გაკვეთილებსაც-კი ჩაცმული სწავლობდა. მე რასაკვირველია ძალიან კმაყოფილი ვიყავი, იმიტომ რომ ბევრი რამ კარგი შევისწავლე და შევიტყუე: ხან დიდ რუქაში ჩავცქეროდით ხოლმე და სად რა ქალაქი და ქვეყანა იყო ვსწავლდობდით, ხან თავ მოსახეზრებელ ღრამბატეკას ვიხეზირებდით და ხან ზოოლოგიურ სურათებს, სადაც მთელი ქვეყნის ჰირსუტყეები და ფრინველები იყო დახატული, ვათვალიერებდით.

ერთი კვირის შემდეგ თედოსთან ერთად ღიძნახიში წავედი. ჩემდა სამწუხაროთ თედო ძალიან ცელქი და დაუდგარი ბავშვი იყო. თუმცა ის ჰირველათ მივიდა სასწავლებელში, მაგრამ იმ დღეს ორჯერ კრივი მაინც მოასწრო.

ამ სასწავლებელში, რასაკვირველია, ბევრი მეცადინე და წენარი ბავშვი იყო, მაგრამ ცელქები და ხარმაცები უფრო მეტი და უხეიროთაც სწავლობდნენ. მე ჩემი მემართებოდა, ძალიანა მწუინდა! ვუიქრობდი რომ თუ თედოსს იხარმაცებს და უხეიროდ ისწავლის,



მე ამ სირცხვილს ვერ ავიტან—მოვეკლიჯები და გადავიკარგები სადმე, მაგრამ ჩემდა სასწინარელოთ თედო ძალიან ნიჭიერი და მეცადინე ბავშვი გამოდგა. უოველთვინ ამჟამად და მხიარულად სახლში ვბრუნდებოდით, ძარტო იმისი სიცვლეკე მანუსებდა. თედოს დედამამის საქციელი მაკვირვებდა: ისინი ბავშვს ცელქობას არ უშლიდნენ, ჩემთან ბედავდნენ და იძახდნენ, რომ მეცადინე ბავშვს ცელქობა შეჭყურისო. მე სრულებით არაფერ უურადლებას მაქცევდნენ, რაში ენაღვლებოდათ, ვიღაც საცოდნო ფოლახი, მუნდირზე აკერიბ აუ მოწვევტილია, სულ ერთია, სხვას დააკერებენ!

სამძა კვირამ განვლო რაც თედო სასწავლებელში დაიარებოდა, რამდენიმე ამხანაგი შეაგროვა და გადასწვეიტეს რომ მეორე კლასელებთან კრივი გამართონ: რა ამბავი იყო, ნამდვილი ომი! რამდენს ცხვირპირი ჩამტვრიეს, თვალები ჩაუღურჯეს, საშინელება იყო! შიშით ვკანკალებდი, ბოლოს ველარ მოვითმინე, მოვსწედი, სრიალით იატაკზე გავვკორდი და ერთ კუთხეში მივიმაღე, იქიდან დიდის სიამოვნებით ბავშვების დასჯას უეურებდი: ზოგი კუთხეში დავუენეს, ზოგი უსადილოთ დასტოვეს, ზოგი ბნელ ოთახში დამწვევდიეს. ზოგს-კი დედამამასთან ბარათები მიუწერეს.

სწავლის შემდეგ დარაჯი ერძილე ოთახების დალაგებას შეუდგა. მეც რასაკვირველია ცოცხი წამომკრა და სმაურობით ჩემ კუნჭულიდან გამოვკორდი. იმან უურადლება მომაქცია, დაგვას თავი დანახა, ფრთხილად ამიღო, ჯიბეში ჩამიკდო და სთქვა: „რა კარ-



გი, ახალი ფოლაქია!“ ღმერთო, რა სასოგადოებაში ჩავარდი მე ამ კაცის ჯიბეში! სათუთუნე, სანთლის ნაძმწვი, ჭუჭყიანი ცხვირსახოცი, უბრალო ძერალი გოკირდის წუმწემა! კარგი რომ დიდხანს არ მოძინდა აქ დარჩენა, თორემ ვერ ავიტანდი და დარდით მოუკვდებოდი. ერძილემ ოთახების დალაგება რომ გაათავა სახლში დაბრუნდა, ჯიბიდან ამომიღო, თავისი ჭუჭყიანი სახელოთი გაიწმინდა და ერთ კოლოფში ჩამავდო. იქ ბევრი ჩემი ამხანაგები იუვნენ და სთქვა:

— ეხლა-კი დროა შედუქნეს წაუღო, კარგა ბლომად მოგროვილა.

ეს რომ გავიგე ძალიან გამეხარდა, მეგონა ასევე ქალღმრთელს ჩამოგვაძვეკრივებდენ და იქნება თედოსე უფრო წინარ და ჭკვიან ბავშვის ხელში ჩავარდებოდი წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება! თურმე, ნუ იტყვით, ეს შედუქნე უბრალო დალალი იყო. ოჰ! რა მოუხეშავია! თავისი ჭუჭყიანი ხელებით დაგვთავალა, ძაფზე აგვასხა და ნამიან კედელზე მიჭედელ ლურსმანზე ჩამოგვკვიდა. კარგა ხანს ვეკიდე მე ამ დუქანში კედელზე და უნდა გამოგიტყდეთ რომ სრულებით არ მომწეენია, დრო ისე ძალე მირბოდა.

მე ერთ ღენერლის მოოქრულ ფოლაქთან ვეკიდე. ის თურმე ერთ სამხედრო ღენერლის მუნდირზე ეკერა და როგორც ეტეობა ძალიან ჰატივისა სცემდნენ, რადგან ის იმ ადგილას იყო დაკრებული სადაც სხვა და სხვა ჯიღო ეკიდა, ე. ი. გულზე. ის მოსამსახურების უთაურობით მოიგლიჯა და ქუხაში დაიკარგა. ომიანობაზე და სამხედრო წესებზე ბევრი რამ



გვიამბო. პირველში თითქოს კიდევ შემსურდა, მაგრამ როცა ჩაუფიქრდი და მომაგონდა ღიძნაზია, დავმოძმინდი და ვიფიქრე რომ ეს ღენუნალი ისე დიდებული და დაჯილდოებული არ იქნებოდა მე რომ არ ვქონოდი ბავშვობისას მუნდირზე დაკერებული და სწავლა არ გაეთავებინა. მეორე გვერდით ჭუჭყისაგან ჩამავებული კავკასიის წმინდა ვერცხლის ფოლადი ეკიდა და ზედ რაღაც წარწერა ჰქონდა, მე ვერ გავაჩრჩიე. ეს თურმე ერთ ჩაჩანს ჩოსახე ეკერა იმას ცხენზე ვარჯიშობა ძალიან უეფარდა და ამ ცხენით ისე ამავებოდა, რომ ფოლადს შურდა. რა მშვენივრად, კოსტად და მოხდენილათ იჯდა ის ცხენზე და დაჭყენებდა. ხან გაჭყენებულ ცხენიდან გადმოხტებოდა, ხან ზეზე შეახტებოდა, ხან უუნაგროთ და უაღვიროთ დახტოდა. ერთხელ ცხენი თავის პატრონს ძალიან გაუწერა და გადმოავდო. საწყალი ჩაჩანი ძალიან დაშავდა, ფოლადი ქვას დაეტაკა და მოვარდა. მეორე დღეს ერთმა მათხოვარმა იპოვნა და გაჭყეიდა.

ამ სასიამოვნო ბაასში რომ ვიყავით, დუქანში უცბად ერთი ღარიბად ჩაცმული მოხუცებული კაცი შემოვარდა. გულზე ძაფით აკებული ნემსები ჰქონდა ჩამომწკრივებული. პირველ შესვლაზე ვიგრძნე, რომ ეს თერძი იყო და გული ცუდად ამიფანცქალდა, ვიფიქრე: ვაი თუ ფოლადების სასუიღლად მოვიდა? თურმე ჩვენი პატრონის, მედუქნის მეგობარი თერძი იყო. ცოტა ხნის ბაასის შემდეგ ლურსმიდამ ჩამოგვიღო, ნაკლეჯ ქალბლდში გაგვანვია, ჯიბეში ჩავვიდვა და მახლისკენ გაექანა, გზაში მე ვფიქრობდი: ნეტა რომ



მელი ფოლასი გამობდებოდა? ჩვენ დიპნასიისა მარტო
 რვა ვიუბით. მეშინოდა რომ თუ ვინცობაა ჩვენ არ
 დაგვაკერებდნენ უეჭველია ნაჭრებში და ნაგავში ვე-
 ურებოდით. ამ ფიქრებმა ისე შემაწუსა, რომ შიშით
 გამხცვივა. როცა თერძმა ჯიბიდან ამომიღო და ქაღალ-
 დი გაშალა სულ გაუვითლებული ვიუბი, თურმე სი-
 ვითლემ დამხართოდა. ჩემი შიში უსაფუძვლო გამო-
 დგა: სწორედ ჩვენ ვეჭირებოდით. ერთი საათის შემ-
 დგე მე ერთ ჰატარა მუნდირზე დამაკერეს, მაგრამ
 როგორც წინათ გულზე-კი არა—უკან წელზე. ეს მუნ-
 დირი მეოთხე კლასის მოწაფისა იყო. ახალს და გა-
 მოუცდელ ფოლასს უადგილო ადგილას დაკერება ეწ-
 ვინებოდა, მაგრამ მე-კი ძალიან შიშა: ჯერ ერთი
 იმიტომ, რომ უკან უფრო დიდხანს უვნებელი დავრ-
 ჩებოდი, მეორე კიდევ იმიტომ, რომ გულზე დაკერებუ-
 ლი ფოლასი სძირბდ შეკვრით და გახსნით იხსება
 და თხლად დაფერილი ვერცხლი ძალე შორდება და
 უბრალო ფოლადს ემსგავსება.

მეორე დღეს თერძმა ეს მუნდირი ჰატრონს წაუ-
 ღო. ოჰ, რა ღარბები იყვნენ! ოჯახი დიდი იყო,
 ფული-კი მცირე, სიცივე, შიშპილი, ბავშვს უნდა კი-
 დეც ესწავლა და უმცროს და—შმისათვის, როგორც
 გამდელს მოეგლო, საუიდელებისთვის დუქანში და ბა-
 ხარში ერბინა. ერთი სიტყვით ენით გამოუთქმელი
 შრომა აწვა ამ ბავშვს კისერზე. მე ძალიან კმაყოფი-
 ლი ვიუბი. ჰატარა ვაჟი, ვალიკო, რომლის მუნდირ-
 ზედაც მე ვეკერე, ძალიან ფრთხილი და წინარი ბავ-
 შვი იყო. ის სასწავლებელში არ ცელქობდა, არავის



არ ეჭიდავებოდა, ბეჯითობდა. სახლში რომ ბრუნდებოდა, მინამ სადილზე დაჯდებოდა, თავის მუნდირს გაიხდიდა, კასწმენდდა, გადმოაბრუნებდა, დაჭკეცდა და თავის საწოლთან სკამზე დასდებდა, წიგნებს დააღლაგებდა თაროზე, რომელიც ძველი ეუთის ფიცრებიდან თითონვე გაეკეთა.

ვალიკოს სიფრთხილის წყალობით, მუნდირი და მე ორ წელიწადს ვემსახურეთ, მაგრამ ვერცხლი გადაქესესა და უშნოთ გაუშავდი. ის ვერცხლის წელით გვწმენდდა ხოლმე, სამათსს დღეს გავთეთრდებოდით, მაგრამ შეძღვე-კი უფრო ჭუჭყიანად და შავად გამოვიურებოდით. იმან უთუოდ არ იცოდა, რომ ვერცხლის წყალი ფოლადს აფუჭებს. მეორე წლის დამლევს ქრისტობისთვეში ეველა ბავშვი ძედიდარი თუ ღარიბი ერთის ფიქრით არიან გატაცებულნი ხოლმე, რომ შობის დღესასწაულები მხიარულად გაატარონ და საჩუქრები მიიღონ. ვალიკოს დები და ძმებიც ოცნებობდნენ.

საწულები! მარტო ოცნებობდნენ, თორემ აბა საჩუქრებს საიდან უყიდდნენ! მარტო ვალიკო თუ ღიბნა-ზიიდან მოუტანდა ამათ კარგ წიგნებს და წაუკითხავდა. დედ-მამაც ბავშვების მწუსარებას გრძნობდნენ, მაგრამ რას იზამდნენ. ბოლოს გადასწვვიტეს ძველი ნივთები მოეგროვებინათ, დალაღისათვის მიეუიდნათ და ბავშვები-კი საჩუქრებით გაესარებინათ. დღესასწაულის ოთხი თუ ხუთი დღის წინად, კარგად არ მასსოვს, რაც-კი რამ ძველი, უვარგისი ტანისამოსი და ნივთები ჭქონდათ მოაგროვეს, იმათ რიცხვში მეც. დალა-



ლი დაიბარეს და ექვს თუ შვიდ მანეთათ გადავიდეს, ასე დაუმორღი მე ამ საუვარელ ოჯახს. თუძვა მათი დაბორება მწეინდა და მაწუნებდა, მაგრამ ის აზრი, რომ ჩემგან აღებული ფულით ბავშვები საჩუქრებს მიიღებდნენ და გაისარებდნენ, ჩემს მწუნებას სრულებით მავიწეებდა. დალაღმა სასლმ., რომ მოგვიტანა მუშაობას შეუდგა: ჯერ ჩვენ ფოლაქები მოგვარღვია და ქალაღდში შეგვანგია, მერე მუნღირი დაარღვია, გასწმინდა, გააუთოა და მადუღი ერთ მექუღეს მიჭეიდა. აი ამიტომ ღარბი სალსს ქუღები ისე მალე უხუნღებათ და ეკლიჯებათ. ჩვენ-კი ფოლაქები ოქრომჭეღელთან წაგვიღო, რომელმაც ვერცხლში ამოგვაგლო და ისეე ჩვენ ხელობას შეუღეით.

ნათქვამია: „მთა მთას არ მოხვდებოთ, თორემ ადამიანი ადამიანს როგორ არ შესვდებაო“, მეც ამ ანდასას დაუმატებ, რომ ფოლაქიც ხოლმე შესამღოა თავის ჰირველ მეიდველს შესვღეს. ერთი წლის შემღეკ მე თეღოს მუნღირსე ვეკერე. მე იმ თერძმა მიეიდა, რომელმაც თეღოს ჰირველად მუნღირი შეუკერა. აბა, რათქმა უნდა რომ ჩემი ჰირველი ჰატრონის ნახვა მაღიან შესიამოვნა. ღმერთო ჩემო, რანაირი ცვლიღება იყო ესლა ამ ოჯახში! თეღო ესლა დიდი ვაქეიყო, ღარ ცელქობდა, მაგრამ მინც მაღიან მხიარული და კეთილი გულისა, თავისი ღარბი ამსანაკები მაღიან ებრალებოდა და ეწეოდა. მისაროდა რომ თეღო ამისთანა გულკეთილი და კარგი უმაწვილი იზრდებოდა. თუძვა ხანღისხან მაწუნებდა, რომ თეღომ უწინღებულათ ტანისამოსის გაფრთხიღება არ იცოდა.

ამ ჯერობასე მე იმას ორი წელიწადი ვემსახურე და რადგან ის ისე გაიხარდა, რომ ჩემ მუნდირში ველარ ეტეოდა, ახალი შეუკერეს და მე კი ძველნივთებთან ერთად სკივრში ჩამკეტეს.

არ ვიცი რამდენი ხანი დავრჩებოდი მე ამ სიბნელეში, რომ ერთი შემთხვევა არ მომსდარიყო, და თუდოს ერთ გასეთში ღარიბთა ბავშვების დამხმარებელ საზოგადოების განცხადება არ წაეკითხა.

თედო შეხვეწა დედას, რომ ძველი ტანისამოსი მოეგროვებინა და სადღესასწაულოთ ღარიბ ბავშვებისთვის საჩუქრად გაეგზავნა დედამ შვილს თხოვნა სიამოვნებით აუსრულა. სკივრიდან ამომხატრიეს და ერთ საქველმოქმედო საზოგადოებაში გამგზავნეს. ათი დღის შემდეგ მუნდირი ერთ ძევექსე კლასის მოწაფეს, კოტეს, კარგად მოუვიდა ტანზე და მისცეს. ესლა იმ ემაწვილმა არა თუ ღიმნაზიაში უნივერსიტეტშიც-კი სწავლა დაასრულა. იმას ეს მუნდირი ესლაც საპატიო ადგილას აქვს შენახული.

კოტე უნივერსიტეტში სწავლის დამთავრების წლის თავს დღესასწაულობდა. მასწანძელი, გამხიარულდა, თავისი უწინდელი გაჭირება მოაგონდა და გადასწვეიტა ღიმნაზიის მუნდირის ჰატრონი უთუოდ მოძებნოს და მადლობა გადაუხადოს, რადგან იმის წვლობით სწავლა შეასრულა.

ბევრი ძებნის შემდეგ მუნდირის წინანდელი ჰატრონი იპოვნა, იმისი გვარი და სახელი ქალაქდზე დასწერა და მუნდირის ჯიბეში ჩასდო, რომ შემდეგში ეს ამბავი თავის შვილებისათვის ეამბნა.

ეკ. მესხია.

(გადმოკეთებული)



ილო და ჩიტო.



— რას ჭეიზინებ, რას ჟღერტულებ,
მიტხარ ჩიტო, ფრთა ნაცარა,
მოუსვენრად რომ კუსკუსებ
ხომ არაფინ გაგამწარა?

—,არა ჩემო, გულ-კეთილო,
ბრალს ვერაფის დავდებ ტევილა,
ხომ იცი დღეს აღდგომაა,
ჩემთვის არაფინ არ მოცლილა.
ეველა სახლში მსიარულობს
ფეხზეა თუ მოკეცილა;
გარეთ ვის რა ესაქმება,
ქინჟლავს, ცივაბ,—განა თბილა...
შენ რომ დედა გაბლერებს,
გეველებს და გისმატკობილებს

სიევარულით რომ გისწორებს
თბილ ხალათს და გულზე დილებს.

განა მეც მაგ ბედისა ვარ,
ვაჭ სიობლეს, ვაჭ სიაწარეს,
ვინ მადირსებს მაგ გვარ აღერსს
ზამთარ-ზაფხულ მომთაბარეს!

და მარტოკა განა მე ვარ,
სხვაც ბევრია ჩემისთანა;

ვისაც ბედი გაუდიმებს
მისი არის ეს ქვეყანა“!..

ილოს რაღაც უნდა ეთქვა,
მაგრამ ჩიტმა ფრთა გაშალა,
ნისლიან და ბურუსიან
დის სივრცეში მიიძალა...



სრუმორწმუნეების მსხვერკლი.

(ამბავი)

I.



ატარა რომ ვიყავ, ჩემ სისწრულს
სასლვარნი არა ჰქონდა, როდეს-
საც დიდმარხვა მიიწურებოდა და
ჭიაკოკონობა ანლოვდებოდა,
გულის ფანცქალით მოველოდე-
ბოდით მე და ჩემი ამხანაგები ამ
ბავშვებისთვის სანეტარო დღეს,

რადგან აგუსტუსებულ ცეცხლზე ვისტუნავებდით „აღუ-
ლი კუდიანების“ ძანილით.

ჩვენ, რასაკვირველია წინდაწინ ვეძახდებოდით ამ
დღისთვის, ანლაცდილა ადრინა შეუდექით ჩალები და
კაჭაჭების კრეფას და კარგა ბლოძათაც შევაგროვეთ.
შემდეგ დაღლილ მოქანცულნი ბოსელში შევცვივდით,
სადაც სამთრობით საქონელს ვაბამდით და ძალიან
თბილოდა. სშირად იერიდენ თავს აქ დიდრონი კაცე-
ბიც და სხვა და სხვა ამბებით ერთობოდენ.

აი, ჩვეულებისამებრ დღესაც მოეკარათ თავი და
თავს იქცევდენ სხვა და სხვა ლაზარაკით.

— კაცო, ე კი აღარ გაშრა და ამ ცალასებში სად
უნდა დავანთოთ ხვალისთვის ჭიაკოკონა? — დაიწყო
ერთმა.

ძართლაც დიდი ცალასები იყო, რადგან იმ წელს
გაჭიანურებული სამთარი იდგა და თოვლი კარგა სხო-

ბამდის არ აუღია. იალბუხი სომ თეთრათ ისევ დასწვრილი
სილი იყო თოვლით.

— დავიჯერო კიდევ ჩამოვლენ ამ თოვლში ი
წვეულები „ბრუტ-საბძელიდან“ — მიუგო ღიმილით
მეორემ.

— ჩამოსულები თუ არ არიან! — დაიწყო ერთმა
უფრო სნიერმა მოხუცმა ნინიკამ, — ქიტკისას საბძელი
ისეა სავსე ი წვეულებითა, ჩემმა ძესემ, რომ როცა-კი
ჩამივლია იქითკენ ათასნაირი ხმა მოისმის: წკავ-წკავი,
ღმუილი, ყუყუ, ჩხავილი!

— რა ვიცი მე კი ვერაუფერი ვნახე და რაღა თქვე-
ნა ხედავთ. — წარმოთქვა ქიტკისამ, რომელიც აქამდის
ჩუმად იდგა.

— მეც არა ძჯეროდ ჩემი თვალთ რომ არ მე-
ნახა — დაიწყო ისევ მოხუცმა ნინიკამ და განაგრძო —
ერთხელ ძალზე ძთვრალი მოვდიოდრი, მოფერებში ვი-
ყავ ქორწილში, ღვთის წინაშე კარგა ძთვრალი ვი-
ყავ. გონება-კი კარგი მქონდა. ახალი დაღამება იყო,
გლესური ვახშმის დრო, ე ჩვენებურ ჭალებს რომ მოუ-
ახლოვდი გზაც-კი დაკვარგე ერთი ხანობა, ძაგრამ და-
ვადევ ე ყროანეს და შემოვეევ სევიტ-სევიტ. ქიტუას
საბძელს მოუახლოვდი თუ არა ერთი ისეთი ძაურუ-
ლის სიძღერა მომესმა, მე „ნეფიანი“ მეგონა. ერთი
ხანობა შევჩერდი, ცხადლივ მეგონა ვეველაფერი. არ
გაიარა დიდმა ხანმა და ძართლა „ნეფიანი“ გამოჩნდა
ზედ — ი ჯვარედინ გზასე. ერთი ძაური გამოერჩია იძათ-
გან და გადმოიღვა წინ: „ძმობილო! ნეჟე-დედოფალი
დაგვილოცო“ და ღვინით სავსე ეანწი-კი მოძახეჩა

ხელში. მე ერთი ხანობა შეუფიქრიანი თმები სულ უალესე დაშიდგა, მეჭირა ეანწი ხელში და რაღასაც ვლუღლუღებდი.

— შე კაი კაცო, დალიე, რაღასა ფიქრობ! — მითხრა მახარმა და მომაშტერდა.

„მაყრიანი წავიდე და მე კი ის მახარი აღარა მშორდება. ცოტა გონებასე მოვედი, მომაგონდა, რომ აქ რაღაც ავი სულები ბუღობდენ და ისანი გამომეცხადენ. აღარც ვაცხელე, აღარც ვაციე და დავიწვე ძველებური ეშაკების სადღეგრძელო, რომელიც ზაზიჩე-მისაგან გამიგონია:

„წინდა მეცვა მეშისაო

ქალამანი მეხისაო

წმინდა გიორგიმ დასწეველოს

ეშაკების ფეხისაო“.

„ამის თქმა და იმ მაყრის გაქრობა ერთი იყო. წამგლიჯა ეანწი ხელიდან და მოშორდა. შემდეგ აღარცა კი მახსოვს თუ როგორ მოვედი სახლში, კაცი დაგბერდი და იმისთანათ არსად შემშინებია! — დაასრულა სიტყვა მოხუცმა ნინიკამ და ჩიბუსი ააბოლა.

— იქნება მართლა მაყრიანი იევენ და შენ ვერაფერი გაიგე სიმთვრალისაგან“ — მიუგო ერთმა ახალგაზრდამ ნინიკას ღიმილით.

— კაცო, ესე კანთიელად ვნახე, როგორც თქვენ გიცქერით! — არწმუნებდა ნინიკა შეკრებილ ხალხს.

ამ ამბავმა ეველანი შეაფიქრიანა და გაშტერებით დაუწვეს მოხუც ნინიკას ცქერა. აქამდის უშიძარ ქი-



ტესასაც შიში შეეპარა გულში და დარწმუნდა, რომ მისი საბძელი მართლა ემძაკების ბუდე იყო.

— მაშ მე კაცი არ ვიყო თუ არ ავშალო და ვენახსში არ გადმოვდგა! — სთქვა ქიტესამ.

— თუ აშლა გინდა, ბარემ ახლავე აშალე და გული დაიარსეინე! — მიუგო ნინიკამ ქიტესას.

— ერთი გრომები ჩავიგდო ხელში. ამ აღდგომის შემდეგ უსათუოდ გადავდგამ, აღარ დავაუენებ.

კარგა ხანი გავგრძელებოდა მავნე სულებზე საუბარი, რომ არ შებინდებულყო და ყველა თავ-თავის სახლში არ წასულიყვენ. მეც დედაჩემმა დამიძახა და სახლისკენ გავწიე დასაძინებლათ, მაგრამ იმ ღამეს თვალი არ მომიხუჭნია შიშისგან. ათასნაირი რამ მელანდებოდა.

II.

ქიტესა ფუჩეჩაშვილს სოფლის განაპირას ედგა მაშისგან დატოვებული მჭდუელი საბძელი, რომელსაც სიძველისა და წვიმისგან ალაგ-ალაგ ჩაღწობოდა ფიცრები და საძირკვლის ხეებიც ჩანასუსებული გამოიყურებოდა. საბძელს შემოდან წალამი ესურა და შიგნით თავისუფლათ ჩადიოდა წვიმა და ამის მიხეზით ქიტესას ძრავალჯერ დაღწობია ბზე.

ქიტესა ბევრსა ცდილობდა გადაეკეთებინა საბძელი, მაგრამ დღეს-ხვალობით და ხელმოკლეობით ვერ ახერხებდა. გულიც ამორეცხილი ჰქონდა საბძელზე, რადგან მის შესახებ სოფელში ათასნაირი ცუდი ხმები გავრცელდა.

საბძელს ცალ მხარეს მდინარე ფრონე ჩამოუდიო-



და, მეორე მხარეს ორი შარა გზა ერთდებოდა ერთად და მკსავრები გამოუღეველათ დადიოდნენ ამ გზებზე. იქვე მასლობლათ დიდი კაკლის ხეები იდგა და ერთიც დროთა ბრუნვისგან მობერებული ტოტებ-დახსავსებული დიდი ვერხვის ხე, რომელიც ირგულივ კარგა ადგილს ჩრდილავდა. რამ წამს საფხულის ნელი სიმა დაიძრებოდა, ამ ხეების ფოთლები საამურათ დაიწვებდნენ შრი-ალს, ზედ მდინარის ჩხრიალი დაერთვოდა და მართლაც რაღაც გრძნეულათ ეჩვენებოდა მნახველს ეს ადგილი და მასთან ერთად ქიტესას დაბრეცილი საბძელიც.

არა ერთსა და ორს მკსავრს შეუფარებია თავი ამ საბძლის ქვეშ. ვისაც-კი დაუღამდებოდა უდროოდროს, ან უამინდობა იქნებოდა ნავთ-საეუდელს აქა-ჭაობდნენ და დილაშდის თბილათ შეესვგოდნენ ხოლმე ქიტესას შენასულ ჩალებში. ამისათვის იყო, რომ ხალხს მკსავრები ეშმაკებათ ეჩვენებოდათ.

სწორედ იმ დამეს, როდესაც მოხუცმა ნინიკამ ქიტესას საბძლის შესახებ ილაპარაკა ორ მკსავრს დაჭლამებოდათ და ქიტესას საბძელში გადაძმვრალიყვენ. ერთი იქვე კარებში ჩაწოლილიყო და ზედ ჩალაბულა დაეყარნა და მეორეც შიგ ბხეში ჩაწოლილიყო და გულიანათ ჩასძინებოდათ.

III.

გათენდა ოთხშაბათი, ჭიაკოკონობა დღე. წამოვ-დექი დილა ადრინათ და გავეშურე ამხანაგებისკენ, მაგრამ გავუდი თუ არა გარეთ ერთი ტირილ-დრინალი შემომესმა ქიტესანთგან. გამწარებული ნენე, ქიტესას ცოლი, მოთქმით ტიროდა და თან ორივე ხელებს



თავში ირტყაძდა. მათ კარებსე კარგა ბლომით სალსს მოყვართ თავი და უსიტევოთ რაღასაც შექმნევიდენ. ეველას მწუსარება ეძნეოდათ სასესე.

მეც გამიტაცა ცნობის მოყვარობამ და სალსისკენ გავექანე... სახარელი სურათი გადამეძალა თვალწინ: გონება დაკარგული ქიტესა საკაცესე იდო, სასე გაფითრებოდა, ჰირში დუეები მოხდიოდა და რაღაცა გაუგებრათ ლულლულებდა.

— ჩამქოლეთ, სალსო, ჩამქოლეთ! — ღრიალებდა ნენე. გვერდით პატარა შვილები უდგენ და ისინიც ტიროდენ დედის ტირილსე.

საცოდავი ქიტესა სასლში შეიკვანეს, მაშინათვე მღვდელი მოჭკვარეს რომ ესიარებინათ. სახარებაც წაუკითხეს, მკითხავიც დაიბარეს იქვე მახლობელ სოფლიდან, საწირაგებიც გადასდეს სხვა და სხვა სატეობის სახელობით, მაგრამ ვერაფერი ეშველა. ქიტესა ისევ დამუნჯებული იწვა ლოგინსე და რაღაც საშიშრათ ატრიალებდა თვალებს.

— კაცო, რა მოსვლია ამ მღვვივით კაცს? — ეკითხებოდენ ერთმანეთს გლეხები.

— რაღა რა მოსვლია, კაცს რომ წერა აიტანს ეს არის, — დაიწყო ქიტესას მესობელმა თედომ, — ემდილით ქვეითკენ საქმე მქონდა, წისქვილში მივიდიოდი, ერთიც ვნახოთ რაღაც ღრიალი შემომქსმა, ქიტესას საბძლიდან ორი ვილაც მკსავრი გამოვარდა, მკონი ოსები იყვენ, ბხეში მოსვრილები და დტიმულები გაიქცენ. მე შეგონა ამ კაცს ჩხუბი აუტესეს ძეთქი. თურმე ნუ იტევი, ქიტესა რომ უცებ შესულა საბძელში,



ჯერ ისევ სძინებიათ ამ კაცებს. ერთისთვის ფეხი დაუდგამს და რომ გაჭლვიძებია, წამოვარდნილა უვირილით, მეორესაც ხმა მიუცია, ქიტესას ეძმაკები ჰკონებია და უგრძობლათ დაცემულა ძირს. ეს იყო და ეს.

თედოს ხალაპარაკებმა უკელა დაარწმუნა, რომ ეს ხალხისგან მოგონილი ტუილი ხმები იყო ქიტესას საბძლის შესახებ. და ნინიკამაც სიმთვრალით გარეუტანებულმა უთუოდ აურია ერთმანეთში მართალი და სიცრუე.

საწვადი ქიტესა-კი. გახდა ცრუმორწმუნოების მსხვერპლი. მას შემდეგ ბევრი აღარ უცოცხლია. ჩაფარდა ლოკინათ, იავადყოფა თითქმის ერთ წელს და გარდაიცვალა.

ჩვენმა ჭიაკოკონამ იმ ღამეს უხალისოთ ჩაიარა!

პ. დვანელი.



თეიმო ლიხობუჯი, აბიონეზეოზნე
თუგენწ დეფ იმიტპობცე
თიფრე მთოლე მთეფე თუიენ იგროს, აბიპლუნებ



ს ა ლ ხ უ რ ი .

(წარმოდგენილი გრ. დიდებულადისაგან)

გრემის ხევის ქალაშია
დათვი იწვა ხალაშია,
ჩვენი ტატო მიეპარა,
ხელით წასწვდა ბალანშია.
სოფელში ვერ გაეყიდნა,
წაეყვანა ქალაქშია,
მცხეთაში ზედ შემჯდარიყო
გასულიყო არაგვშია.


ზ მ ა .

(მისივე წარმოდგენილი).

ნუ აწვალვებ მაგ დანასა

რ ე ბ უ ს ი .

(წარმოდგენილი გ. ჯონიძესაგან).



ს 100, ჩ



როგორ უნდა
ბიან ხაფიზს.



ბ
ნ
ს



100,



№ II.

გამოცანებისა: ყურძენი, მაგილა.

აკროსტიხი: ვაჟა ფშაველა.

რეზუსისა: კარგი შვილი დედის გულის ვარდია.



ღ ა მ ე .



ზე ეშვებოდა,
 დღე ფითრდებოდა,
 ცისა ლაჟვარდი
 ვრცელ სანავარდი
 წითელ-ყვითლათა იღებებოდა.
 ჰგლოვდა, სჩიოდა,
 ჰკენესდა, სტიროდა
 სხივოსან მნათობს ეთხოვებოდა.
 ცრემლი სდიოდა,
 მაგრამ ის ცრემლი
 ვერცხლის სხივებით
 არა ღვიოდა.

* *

ცათ აბჯენილი მთისა მწვერვალი
 ამაყათ აღარ იყურებოდა,
 კაეშნიანი,
 ფიქრ-ცრემლიანი
 ნისლთა ქარავნით იბურებოდა.
 ან რაღა ჰქონდა სასიხარულო,
 აღარ ეხურა ოქროს გვირგვინი;
 მზის მოწკრიალე ჰიმნების ნაცვლათ
 შემოესმოდა მწუხრის კვეთინი.

* *

ქალაკთა შორის ლალი მდინარე
 ლიკლიკ-დუდუნით მიმომდინარე



ამღვრეულიყო... ქათ-მოგდებული,
 ვითარცა ლომი გამძვინვებელი,
 თავქვე მიჰქროდა, მიეზვირთოდა,
 ვლაცას ჩანთქმას ემუქრებოდა.
 იმის ტალღათა ლივლივ-კრიალში
 მთვარის სხივები არ ბანაობდა;
 მის ახლო ტევრში ცისკრის მგოსანი
 აღტაცებული არა ჰგალობდა.

ცქვიტი ნიავი
 ლალათ მფრინავი

კისკის-ტიტინით არ სრიალობდა,
 ჯავარ-აყრილსა
 ცვრით განბანილსა
 ლერწმებთან აღარ ლაზღანდარობდა.

* *
 *

ყველგან მეფობდა მწუხრის ბინდ-ბუნდი,
 ყველა ნათელ დღეს ეთხოვებოდა,
 განუსაზღვრელი სევდების ხუნდი
 ყოველ არსებას ეუფლებოდა.

ეგონათ რიქრაქს
 ველარ ჰნახავდენ,
 იმედების რაშს
 ვერ შეჰკაზმავდენ.


ბედის ფანდურსა
 შავათ სთაღხავდენ
 და ფაქაზ რწმენას
 სულთქმით ჰმარხავდენ.

* *
 *

მხოლოდ ერთგანა ფირღუზ-მოლით მოსილ მდელაოზე
 არა ჰკენესოდა „მზეს უმზერდე“ *) ფოთოლ გაშლილი
 ნაზ-მოხარხარე ფოთლებითა რხევა გაჰქონდა,
 ისმოდა ხმები საოცნებო ჰანგებათ სკვნილი:

*) „მზეს უმზერდე“ ერთგვარი უფავილია, პირი სულ მზისკენა
 აქვს მიშვერილი.

თუმცა ზვიადმა,
 ბნელ წყვდიადმა
 შთანთქა დილა საყვარელი,
 მაგრამ იმედს არა ვჰკარგავ
 გათენებას კვლავ მოველი.
 მისთვის გავჩნდი ქვეყანაზე,
 გადვიშალე მისთვის ნაზათ,
 რომ ვიწამო ღვთაებათ მზე,
 მის სხივთ ვექცე ფიანდაზათ.
 ტრფიალი ვარ ნათელ მზისა,
 შორს გოდება, ურვა, გლოვა,
 სასოებით მზეს ვლოცულობ
 მწამს: სხივ-გაშლით კვლავ ამოვა.
 დ. თურდოსპირელი.




ქრისტე—ყრმა ეგვიპტეში მიმავალი.




ბიძის ნაამბობი.

რა დაემართა გიორგი დიაკვანს?!



ჩემი ძმის წერილი გულს მოჰხდა; გამაწითლა, დამაღონა... ჩემი ლაჩრობისა მრცხვენოდა და ხალხში ისე თამამათ ვეღარ გამოვდიოდი, როგორც წინეთ. ჩვენი მეზობელი გლეხები-კი მუდამ მნახულობდნენ, როდესაც-კი დროს ჩაიგდებდნენ ხოლმე და ესენიც ჩემში დიდ ცვლილებასა ჰხედავდნენ. ეს ცვლილება ბევრი ხანიც დარჩებოდა ჩემში, რომ ერთს შემთხვევას ძალა არ შეეკრიფა ჩემთვის და დიდი ალიაქოთი არ მოეხდინა ჩენს ნორჩ ცხოვრებაში. აი ეს შემთხვევა: კვირა დღე იყო... მრავალ გლეხ-კაცობას ჩვენსას თავი მოეყარა... ცა მოქედლი იყო ვარსკვლავებით... გაბადრული მთვარე მიდი-მოდიოდა ცის სივრცეში—გვატკობდა, გვალხინებდა და ჩვენს გვერანებულ გულს შეგებას აძლევდა, ია-ვარდათ გვეფინებოდა...

ამ დროს „გლახის ნაამბობს“ ჯკითხავდი გლეხებს... მსმენელები აღტაცებაში იყვნენ, გულის ფანქვალით ყურს უგდებდნენ „თედოს“ თავ-გადასავალს და დალოცვილი „მოდღერის“ მოქმედებას. მეც, ამ ყურადღებით გატაცებული, ხმას ძალას ვატანდი, ვაწკრიავდები, ვუმალლებდი და უმდაბლებდი, რომ უფრო დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა ამ შესანიშნავ თხზულებას მსმენელებზედ. ჩემს საწადელს მივახწიე: დავიპყრე მსმენელების ყურადღება, ყველა სულ-განაბული სმენათ იყო გადატყეული და სიჩუმეს არავინ არღვევდა... მხოლოდ ლამფის შუქი ფარვანას თუ იზიდავდა და მითი ფთხრილი თუ დაარღვევდა ამ სიჩუმეს... თითქმის ბოლომდის მივახწიე კითხვას და ის იყო უნდა შემეწყვიტა კიდევ კითხვა, რომ ჩვენმა ქედანამ ასტეხა საშინელი ყეფა და ყმუილი და ყველანი ფეხზედ წამოგვაყენა... პირველათ შარმაზანის ძმა გავარდა გარეთ, ძაღლი ჩააჩუმა და სულ-მთლათ ოფლში გა-



წურული და ქაფ-მორეული ჩვენი კვირტა-ცხენი, შეკმაზული და დასისხლიანებული წამოგვაყენა თავს... ისე დაგიღონდეს თქვენი მტერი და დედ-მამის მაწყევარი, როგორც ჩვენ ამ შემთხვევამ აგვაშფოთა და დაგვადონა... გუშინ კვირტა-ცხენი გიორგი დიაკვანმა წაიყვანა სადღაც სოფელში და დღეს იგი მთლათ გავერანებული, მარტოთ-მარტო მოგვადგა, უმხედროთ, უდიაკვნოთ... დაიწყო მითქმა-მოთქმა და გლახები დაადგნენ იმ აზრს, რომ გიორგი დიაკვანი, ეს უშიშარი და ძარღვ-მკლავიანი კაცი ავ-სულეებს დაუმონავებიათ, ტყვეთ ჩაუგდიათ, თავისი დიდი ფრჩხილებით ცხენი დაუკაწრიათ... ჩემი ფიქრი-კი სულ სხვას აპობდა, მაგრამ ცრუ-მორწმუნოებით გაჟღენთილ ხალხს ვერა შევასმინე-რა და დავადექით იმ აზრს, რომ რამდენიმე უშიშარ გლახს ჯვრითა და სახარებით ხელში მღვდელი წაეყვანათ იმ ალაგას და ასე ამ გვართ დაეხსნათ გიორგი ამ ტყვეობიდან... მეც წასვლის სურვილი გამოვაცხადე, თუმცა-კი დედა ჩემი და ყრუ სალომე დიდს უარზედ იდგნენ...

ჩემი გაპარვა.

მთელი ღამე მოუსვენრათ გავატარე: ფიქრმა და დარდმა შეიპყრო ჩემი არსება... ვფიქრობდი საცოდავ დიაკვნის მღვთმარეობაზედ, ვფიქრობდი მის ცოლ-შვილზედ, ვფიქრობდი ხალხზედაც, რომ ასე ძლიერათ დამონავებოდა ცრუ-მორწმუნობას და რაიმე შემთხვევით ხიფათს თავისებურათ ხსნიდა... ჩვენი ოთახი ბნელით იყო მოცული; ჩამლებმა მეორე პირი იყივლეს; ჩვენიანებს ტკბილათა სძინავთ... ჩუმათ ავდექი, საჩქაროთ ტანისამოსი ჩავიცვი და ჩუმათ გამოვედი გარეთ... გარეთაც ჯერ ისევა ბნელოდა... მთვარე სადღაც მიმალოულიყო და ქვეყნის მფარველათ მშვენივრათ მოციმციმე ვარსკვლავები დაეტოებინა... უშველებელი კეტი დავიჭირე ხელში, გავიყოლიე ჩვენი ქედანა ძალლი და მოვშორდი ჩემი სოფლის არე-მარეს... მივჩქარები, მაგრამ ჯერ-კი ვერ გამომირკვევია —საითკენ... მივდივარ, ძალას ვატან ზემს თავს, ვიგონებ ჩემი ძმის წერილს, ვმხნევდები ამითი, მაგრამ ხანდახან მაინც მელანდებთან ის ოხერი ქაჯალები და შიშით მწარე ოფლს მასხამს... მე მაინც მივდივარ, ხანდახან ვმღერი კიდეც, მა-

გრამ ვგრძნობ, რომ ეს სიმღერა შიშის სიმღერაა... როგორც იყო შევედით ტყეში... ქედანა არა მშორდება .. ხის ტოტები მხედება თავში... ქოტი გულ-შესახარათ, გაჰკივის მე-კი მაინც მივდივარ, ძალას ვატან ჩემს თავს, თუმცა-კი ვგრძნობ, რომ ფეხები მეხუთება, ტანი მიშუის, ყველა ჩუჩუნია ამ ტყეში, პატარა მოძრაობა ჟრუანტელს მგვრის, მაგრამ მე მაინც მივდივარ უშიშრათ, გულადათ... შევედით კიდევ ამ დაბურულ ტყეში, ქაჯების სამფლობელოში—ბნელა, საშინლათა ბნელა, ვარსკვლავებიც-კი აღარსად მოჩანან, მაგრამ მე მაინც მივდივარ... რაღაც ფაჩი-ფუჩი მესმის, ვერასა ვხედავ, მაგრამ აქეთ-იქით ვიკვირები, ვგრძნობ ძალა არ გეკარგება და წინ ვიწევ... სიბნელემ გზა ამირია: შევედი საშინელ ტყეში, დაბურულ, გათულ ტყეში, მაგრამ მე მაინც მხნეთა ვარ, ვიგონებ ღმერთს, წმიდა სამებას, წმიდა გიორგის; მივდივარ გზა არეულათ, წავაწყდები რაღასაც და დარეტიანებულავით იქვე წავიკაცევი... მე მაინც არ მეშინიან... პირჯვარს ვიწერ... ნელ-ნელა ვდგები... გაკაწრულ სახეზედ სისხლი ჩამომდის, მაგრამ მაინც ძალას ვგრძნობ, მესმის ყველაფერი... წამოვხევი კიდევ... შევდექი, სული მოვიბრუნე... ხანდახანა ვგრძნობ, რომ ორათ ვიყოფები, თითქო ვშორდები ჩემს თავს და გარეშე ქვეყანას... მე ვგრძნობ, ვგრძნობ ამ ყოფას და მეტადრე აქ ამ დაბურულ ტყეში, ამ სიბნელეში... აქ ჯოჯოხეთია, იქ მშვენიერობა, სიკეთე და მშვიდობა, მყუდროება... ორ არსებათ ვიყოფები, ნამდვილათ ორ არსებათ—ორი აღამიანი იბრძვის ჩემს გულში, ორი გრძნობა, ორი არსება, ბოროტი და კეთილი... ბოროტი კაცი ჩამჩურჩულებს ავს, მიხლართავს გზას, მაშინებს, მანჯღრევს—უნდა რომ კეთილს მომაშოროს, დავემონო ბოროტს, სატანა გავახარო... კეთილი-კი მამხნევებს, სულს მიდგამს, მაცისკროვნებს, მწევს სინათლისაკენ და ნამდვილათ მესმის რომ მეუბნება:

— ნუ გეშინიან, ჭაბუკო, მოჰავალი შენია; სიბნელე ნათლათ შეგეცვლება... გამაგრდი, გაკაჟდი, შეიკრიფე ძალა, ბოროტს დასთურგნავ და გამარჯვებული გამოხვალ ბნელიდან!..

ამ ფიქრებში ვიყავ გართული, როდესაც ჩემი ქედანას ხმა, წკმუტუნ შემომესმა... მე ამ ხმამ საშინლათ გამამხნევა, საგონებელიდან ამომაყვანა... მივყე ამ ხმას—ნელ-ნელა მოვშორდი ამ სავერანო ხეებს და გზაზე გამოვედი... ჭკვიანი ქედანა მომეგება, ვამიდღვა კულის ქნევით და ცოტახანს შემდეგ შესდგა და ისევ წკმუტუნი დაიწყო... მეც მივყე ამას და ხელის შეხებით რაღაც რბილ საგანს წავაწყდი. გავკარ წუმწუმას და კარგათ გარკვევით შევნიშნე ჩვენი გიორგი დიაკვანი, გაშხლართული და კუნძივით დაგდებული გზაზე... მე მკვლარი მეგონა, მაგრამ ქშინვა მომესმა და ამან ძალიან გამამხნევა... მისი გაღვიძება ახლა შეუძლებელი იყო... მეშინოდა არა დამართოდა—რა იმ შთაბეჭდილების გავლენით, რაც ამან გამოსცადა და მე და ქედანა დროებით მოვშორდით და უშიშარ გზაზე გამოვედით.

გათენებულ იყო კიდეც... ნელი ნიავი მოქროდა და ამ ღამის ვარამს გულიდან მაშორებდა... ახლა სულ მთლათ გამოვერკვიე, შიშის ღრუბელი განმეფანტა და მხნეთა და ვაჟკაცურათ შეეხვდი განთიადს... ჩემი ფიქრი, ჩემი ღარდი მხოლოდ დიაკვნისაკენ იყო მიმართული, ვფიქრობდი რანაირათ მეშველა მისთვის, რანაირათ გამომეყვანა იგი იმ მდგომარეობიდან. წავედი ისევ ისე იმ ალაგას, სადაც დიაკვანი იწვა, საკინძე გაუხსენი, ღილები და ღუგმები მოვაშორე, დაუწყე ღვიძება, მაგრამ ამაოთ... თუმცა-კი ქშენა მესმოდა, ძარღვების ნძრევაც შევნიშნე, მაგრამ გაღვიძებით-კი ვერ გავაღვიძე... ფიქრმა გაძიელვა მომეშორებინა იგი ამ ადგილს, წამეყვანა აქედან, უფრო სამწვიდობო ადგილას, უფრო მოხერხებულ ადგილას გადაეტანა... ვცადე ჩემი ძალა, მაგრამ ვერა გავაწყე-რა; ქედანა-კი დატრიალებდა აქეთ-იქით და რაღასაც სლაპავდა... დავაკვირდი კარგათ და შევნიშნე, რომ მის პირთან ამონარწყევის გუბე იდგა, ღვინო-არაყის სუნი ტრიალებდა, ყველა ნიშნებით ეტყობოდა, რომ იგი ამ შემთხვევის დროს მთვრალი ყოფილა... მე ისევ სამწვიდობოში გავედი და სული მოვიბრუნე... ჩემი ქედანაც რაღაც მოუსვენრობასა გრძნობდა, აქეთ-იქით დარბოდა, ყურებს აცქვეტდა, ცხვირს მაღლა იღებდა... წამოვივარდა კიდეც, ყეფით გაექანა დაბურულ



ტყისაკენ და მეც უკან გავყვები... რაღაც ხმაურობა მომესმა, ფეხი წინ წავდგი, ახლა სულ ახლო, ახლო მესმის ხმა... ხმა ნახი, ტკბილი, ლოცვის ხმა, ჩვენი მღვდლის ხმა... სწორეთ ისინი არიან... დამხსნელები, ჩვენი მღვდელი, ჩვენი გლეხები... მიხარიან, წინ ვიწვევ, ქედანა არა მშორდება... ხმაც მესმის... ხმა ნაცნობი... მეძახიან—მეც ვაძლევ ხმას.. მე მგონია ვყვირი კიდევ, მაგრამ ეტყობა, რომ მარტო პირს ვაღებ... ხმა ჩემთანვე კვდება... ქედანა-კი ღმუის, იყფებდა... ეძახის საშველათ... მე კი მივდივარ წინ... კვარის ჩირაღდანი განათებულია... ყველასა ვხედამ... ორ თმა გაწეწილ დედაკაცსაც... „ვაიმე, შვილო, ვაიმე ჩემო თვალის სინათლევ „მესმის ხმა... ნაცნობი ხმა... დედი ჩემის ხმა... შევკრიბე ძალა, ხმას ძლიერება მივე და რაც ძალი და ღონე მქონდა შევყვირე: ნუ გეშინიან აქა ვარ... ერთი ნაბიჯიც და დედა ჩემს ჩავეკონე გულში.

ძნელი ასაწერია ამ შეხვედრის ამბავი... ეს ძლიერი გრძობა... ამ დედა-შვილის სიყვარულის გადმოცემა!... გეტყვით მხოლოდ, რომ მე თავი შევიმაგრე—გრძობა არ დავკარგე... დედა ჩემიც ღმერთმა შემინახა განსაცდელისაგან. ნელი ნაბიჯით ყველანი დიაკვანთან მივიყვანე... მღვდელმა ლოცვები წაიკითხა; გულ-შემოყრილ დიაკვნის ცოლს იაზმის წყალი ასხურა და დიაკვანიც და მისი ცოლიც გლეხებმა სამშვიდობოში გაიყვანა. დავსხედით, დავისვენეთ... ვილაპარაკე, ყველაფერი ლამზე... უძილობით ჩემი დასუსტებული ხმა უფრო სუსტდებოდა... ნელ-ნელა ქრებოდა... ვეღარ ვაძლელი და დედის კალთაში ჩავდე თავი და ტკბილათ მიმეძინა... რამდენი ხანი მეძინა ამისი-კი რა მოგახსენო, მაგრამ როცა თვალი გავახილევ, მზე უკვე ამოსულიყო... თავისი მადლიანი თვალი დაეკრა იმ არე-მარესთვის და მთელი ბუნება აეხმაურებინა... დიაკვანიცა და მისი მეუღლეც მოსურბილებულიყვნენ... გიორგის თავი გატეხილი ჰქონდა, ეტყობოდა ცხენიდან გადმოვარდნილიყო და სისხლი ჯერაც არ შეშრობოდა... ლაპარაკითაც ვეღარ ლაპარაკობდა, რაღასაც ლულლულულებდა... ენა არ ემორჩილებოდა... სამმა გლეხმა ჯვარდინათ ხელები გააკეთეს, დიაკვანი დასვეს და გზას შეუდგეს... მე ტიკტი-

კათ გადავიქეცი, მოვეყ ყველა ჩემი თავ-გადასავალის ამბავი, ბევრი ვაცინე მღვდელიც და გიორგის ცოლიც. ქედანაც, ეს ერთათ ერთი მოწამე ჩემი თავ-გადასავალისა, სმენათ იყო გადაქცეული და კუდის ქნევით თითქო ეუბნებოდა ყველას: „დაუჯერეთ, მაგ ყმაწვილის ნამბობი ყველაფერი მართალია“... მთელი სოფელი გზაზე დაგვხვდა; გიორგი დიაკვანს არავინ ყურადღებას არ აქცევდა: ყველას თვალი ჩემკენ იყო მომართული, ყველა მე მლოცავდა, გამარჯვებას მილოცავდა... მე-კი მრცხვენოდა, თავ-ჩალუნული ვისმენდი ყველა ამას, დედა-ჩემი-კი ახლა ტანში გასწორებულიყო, ამაყათ აქეთ-იქით იცქირებოდა, მადლობას უხდიდა ყველას და მისი ამაყი შეხედულება თითქო ამას ამბობდა: „განა ვისი ძუძუთია გაზრდილი, რომ მხდალი და ლაჩარი იყვესო“...

ალექ. ნათაძე.





კირი ცხოვრებაში ფრიად საჭირო საგანს შეადგენს. თქვენ ალბათ გინახავთ ფქვილივით თეთრი კირი ტომრებით, ან ურმით ჩამოტანილი ქალაქებში გასასყიდად.

კირსა და სუფთა სილას ერთმანეთში აურევენ, ზედ წყალს დაასხამენ და მოხელენ ცომის მავვარ სითხეს. ამ სითხეს ხმარობენ აგურების, ან ქვების შესაწებებლათ, შესაკავშირებლათ სახლების აშენების დროს, და კედლების შესაღვსათ. ახლა ვიკითხოთ, საიდან წარმოსდგება კირი და როგორ ამზადებენ იმას? აი ახლა ამის შესახებ ვიბაძათ.


თქვენ იცით, რომ დედამიწაზედ ბევრნაირი ქვა მოიპოვება, ქვები ერთმანეთს ჰგვანან, ასე რომ პირველი შეხედვით, თითქმის განსხვავებას ვერც-კი ამჩნევთ, მაგრამ თუ დაუკვირდებით განსხვავებას მალე აღმოაჩენთ. ზოგი ქვა ძალიან მაგარია, ზოგი რბილი და ადვილათ დასამტვრევი, ფერიც სხვა და სხვა ნაირია: თეთრი, რუხი, მოწითალო და ვინ მოსთვლის როგორი. ამ ქვებში უსათუოთ ურევია ისეთიც, რომელიც კირისაგან შესდგება. ასეთ ქვას საკირე ქვას ეძახიან. საკირე ქვა უმეტეს ნაწილათ მოთეთრო ფერისაა, მაგრამ ასეთი ფერის ბევრი სხვა ქვაც არის. ამის გარდა საკირე ქვაც შეიძლება იყოს მოწითალო, მოშავო და სხვა. ამ ნაირათ, თუ ფერს გამოუღვეით, ჩვენ ადვილათ მოვსტყუვდებით საკირე ქვის არჩევაში. მაგრამ არის ერთი უბრალო საშუალება, რომელიც უსათუოთ გვიხსნის ჩვენ გასაჭირისაგან. აიღეთ რომელიმე სიმეჩავე: გოგირდისა, მარილისა, ან ძმარი დააწვეთეთ ქვას და დააქვრდით. თუ თქვენი წვეთი აშუშუნდა და ქვაზე ბუშტები ამოიბერა, ეს იმისი ნიშანია, რომ თქვენ ხელში გიჭირავთ საკირე ქვა.

სიმეჩავე სხვა ქვაზე არ მოქმედობს. რა მიზეზია, რომ სიმეჩავე საკირე ქვაზე მოქმედობს და ბუშტებათ იბერება?

საქმე ის არის, რომ საკირე ქვას შეადგენს კირი და ერთნაირი გაზი, რასაც სახელათ ნახშირბადის სიმეჩავე ეწოდება. როდესაც საკირე ქვას ძმარს დაასხამთ, ნახშირბადის სიმეჩავე სწრაფათ გამოდის და ეს იწვევს ბუშტებს. მაშ საკმა-

რისია საკირე ქვას გამოაცალოთ ნახშირბადის სიმჟავე, რომ კირი დარჩეს. უფრო ადვილათ მოსახერხებელი და ხელსაყრელია რომ საკირე ქვას გამოაცალოთ ნახშირბადის სიმჟავე სითბოს საშუალებით. ამისათვის მოხერხებულ ალაგას, სადაც ბლომათ მოიპოვება საკირე ქვა, აკეთებენ უბრალო, მაგრამ მაგარ ფეხებს; შიგ ჩაჰყრიან საკირე ქვებს და შეუკეთებენ ცეცხლს. ახურებენ ფეხს დიდხანს, ზოგჯერ მთელი თვეობით. გახურებულ ფეხში ქვა ძალზედ ცხელდება, ნახშირბადის სიმჟავე ეცლება და რჩება გამომწვარი საკირე ქვა. შემდეგ ფეხს გააცივებენ და გამომწვარ ქვებს წყალს დაასხამენ. წყალი ქიმიურათ უერთდება ქვას, რის გამო ის საშინლათ ცხელდება, იშლება და იქცევა კირათ.

საკირე ქვა ძლიერ გავრცელებულია დედამიწაზე. ხში-




საკირე ქვას როგორა სწავვენ.

რათ მთელ კლდეებს და მთებს წარმოადგენს. საკირე ქვას ხმარობენ სახლების ასაგებათ, აფენენ ქვაფენილებსაც; ქალაქ ქუთაისში თითქმის ყველა ქვაფენილი საკირე ქვისაგან არის გაკეთებული. ისეთი დიდი ქალაქები, როგორიც არის ოდესა, ან ჰარიჯი და თვით ლონდონი, თითქმის მთლათ საკირე ქვისაგან არიან აშენებული.


თუ საკირე ქვას ურევია თიხა, თითოეულ 100 ნაწილზე 15—20 ნაწილი, მაშინ, თუ ასეთ საკირე ქვისაგან დამზადებულ კირში აურევენ გასუფთავებულ სილას, ღებულობენ ეგრეთ წოდებულ ცემენტს. ცემენტი იმათ არის შესანიშნავი, რომ

ის წყალში მალე მაგრდება; ამიტომ ცემენტს ხმარობენ, როგორც შემთავსებელ მასალას, ხიდისათვის წყალში ბურჯების ამო-



საკირე ქვას როგორა ამტვრევენ.

ყვანის დროს და სხვა. საკირე ქვა სხვა და სხვა ხარისხებით იყოფა. საუკეთესო, მაგარი და შედარებით ნაკლებათ გავრცელებული ქვა არის მარმარილო. მარმარილოდან კირს არღებულობენ, მიტომ რომ ეს ქვა ისედაც ძლიერ საჭირო და სასარგებლო მასალას წარმოადგენს. მარმარილო თეთრი, შავი, მოწითალო, ვარდის ფერი და სხვა ფერისა; სინათლეზე ბრწყინვალეებს შაქრის მსგავსათ. მარმარილოსას აკეთებენ ძველებს, სხვა და სხვა ქანდაკებას, მდიდრულ სახლების კიბეებს, სასახლეების კედლების გარეთა ნაწილს და სხვა. სრულებით სუფთა და თეთრ საკირე ქვას წარმოადგენს ცარცი, რომ ცარციც საკირე ქვა არის, ამისი დამტკიცება ადვილია. ამისათვის საკმარისია ცარცის ნატეხს დააწვეთოთ მარილის სიმჟავე. სიმჟავე ცარცზე უფრო სწრაფათ მოქმედობს, ვიდრე უბრალო საკირე ქვაზე ან მარმარილოზე, რადგან ის, შედარებით, რბილი და ნაზი ქვაა. ცარცი ბევრ ალავას მოიპოება მიწაში, ხშირათ ის მთელ მთებს შეადგენს. რუსეთში, კურსკის გუბერნიაში, არის ქალაქი ბელგოროდი (თეთრი ქალაქი) ეს ქალაქი გაშენებულია მთლათ ცარცის მთაზე. ცარცისას კირს ამზადებენ, წებო ნარევე წყალში გახსნილ ცარცს ხმარობენ



კედლების შესათეთრებლათ; ცარცს ხმარობენ სკოლებში და ფებზე საწერათ; ამზადებენ თეთრ საღებავს შპალიერისათვის და ცარცით სწმენდენ ვერცხლის ნივთებს.

საყურადღებოა გავიგოთ, საიდან წარმოსდგება ცარცი?

ცარცი შესდგება ურიცხვ პატარა-პატარა ხოჭოებისაგან. ცარცის შემადგენელი ხოჭოები იმდენათ პატარა არის, რომ ძალიან გამჭირავსი თვალიც-კი ვერ ამჩნევს. მაგრამ არის ისეთი საშუალება, რომელიც შეგვაძლებინებს ხოჭოების კარგათ და-ნახვას. ეს საშუალება გახლავთ მიკროსკოპი. მიკროსკოპი არის რომელიმე საგნის გაზადიდებელი იარაღი.

მიკროსკოპი რამოდენიმე შუშისაგან შესდგება, არა ნაკლებ ორისა, შეიძლება სამი და მეტიც. ეს შუშები მოხერხებულიათ, ერთი მეორისაგან განსაზღვრულ მანძილზე, ჩასმულია სპილენძის ლულაში. ცარცის ხოჭოების გასასინჯავათ საჭიროა დაფხენილ ცარცს დააწვეთოთ წმინდა წყალი და აურიოთ. თქვენ მიიღებთ რძესავით თეთრ სითხეს. ეს სითხე აიღეთ და ცოტაოდენი დასცხეთ სუფთა შუშაზედ — შეიძლება იხმაროთ უბრალო მინის ნატეხი. როდესაც შუშაზე სითხე დაშრეს, აიღეთ ცოტაოდენი კანადის ბალზამი (იყიდება ყველა აფთიაქში) და დასცხეთ ზემოდან შუშაზე დამხმარ ცარცს. შემდეგ შუშა ქვემოდან, მეორე მხრიდან მოათბეთ ცეცხლზე. თქვენი შუშა ზედ დაცხებულ ცარცით გაქვირვალე გახდება. დასდეთ მიკროსკოპის ქვეშ და დახედეთ. თქვენ გარკვევით დაინახავთ ცარცის შემადგენელ ხოჭოებს.


ამ ხოჭოებს ამზადებენ პატარა და უმწეო ლორწოიანი ცხოველები, სახელათ კორნენოქები (ფენ-ფესვა). ასე ეძახიან ამ ცხოველებს იმიტომ, რომ ისინი სრულიათ შემალულნი არიან თავიანთ ხოჭოებსში, საიდანაც, საჭიროების და გვარათ, გამოჰყოფენ ხოლმე პაწაწა ფეხებს, ძაფების ან ფესვების მსგავსს. ეს ცხოველები ბუდობენ ზღვებში და ოკეანებში, მოიპოებიან, მდინარეებშიაც და ტბებშიაც. ოკეანებში იმათი რიცხვი უთვალავ-უანგარიშოა, რა თქმა უნდა ცხოველები იხოცებიან და იმათი ხოჭოები გროვდება ოკეანეს ძირში. ზოგჯერ გროვდება იმოდენა ხოჭოები, რომ ზღვის ძირი მთლათ დაფარულია თეთრი ფენით, რაც ხოჭოებისაგან შესდგება. ფენს თანდათან ემატება ახალი ახალი ხოჭოები და




თანაც წყლის სიმძიმის გამო ის იტკეპნება, მაგრდება, ხოჭო-
ქები ერთმანეთს ეკვრის და კეთდება ცარცი. საზოგადოთ უნ-
და აღვნიშნოთ, რომ ყოველნაირი ხოჭოქიანი ცხოველი, უბ-
რალო ლოკოკინიდან დაწყებული, ვეებერთელა ზღვის ნიჟა-
რამდის, სულ ყველანი ამზადებენ თავიანთ სადგურხოჭოებს
კირისაგან. კირი-კი იმათ სხეულიდან თანდათანობით გამოდის,
ასე რომ ცხოველის ტანზედ მიკრული ხოჭო არის იმისივე
სხეულის ნაჟონი. მრავალ ნაირ ხოჭოებისაგან საუკუნოების
განმავლობაში თან და თან, შეუმჩნევლათ კეთდება სხვა და
სხვა ხაოსისის საკირე ქვა.

ახლა შეიძლება იკითხოთ, თუ საკირე ქვა სხვა და სხვა
ლორწოიან ცხოველების ხოჭოებიდან ჩნდება ზღვებში და
ოკეანებში, საიდან-ღა გაჩნდა ხმელეთზე საკირე ქვის კლდე-
ბი და მთებიო?

ეს იმით აიხსნება, რომ სადაც ახლა ბლომათ მოიპოვება
ხმელეთზე საკირე ქვა, ის არეპარეები მთელი საუკუნეების წი-
ნეთ ზღვის ძირი ყოფილა და შემდეგ, სხვა და სხვა ბუნების
კანონების გამო, ზღვას ადგილი უცვლია და სხვაგან გადასუ-
ლა. რადგან ნახშირბადის სიმჟავე საკირე ქვის ნაწილს შეა-
დგენს, საინტერესოა გავიგოთ თუ რა არის თვით ნახშირბა-
დის სიმჟავე. როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ნახშირბადის სიმ-
ჟავე არის გაზი, ჰაერგვარი. ეს გაზი უფერულია ჰაერივით.
გავეცნოთ ნახშირბადის სიმჟავის ზოგიერთ თვისებებს. ამისა-
თვის საჭირო ხდება ის მოვამწყვდიოთ რაიმე ჭურჭელში. ეს
შესაძლებელია ამ ნაირათ: აიღეთ შუშის ქილა, ან ბოთლი,
ჩაპყარეთ შიგ ცარცის ნამტვრევები, ჩაასხით ცოტა წყალი,
ისე რომ დაჰფაროთ ცარცი და ქილას მაგრათ დაუცეთ პირი
პრობკით. პრობკაში გატარებული უნდა იყოს შუშის ძაბრი,
რომლის ბოლო საჭიროა წყალში მოჰყვეს; იმავე პრობკაში
გაუტარეთ შუშის მილი, ამ მილის ბოლო პრობკას არც-კი
უნდა ჩასცილდეს ქვევით. შუშის მილს შეიძლება რეზინის მი-
ლი გაუკეთოთ. აიღეთ ტაშტით, ან ჯამით წყალი და ამ წყალ-
ში ჩაუშვით რეზინის მილის მეორე თავი. ამავე ჯამში დააყი-
რავეთ წყლით სავსე ბოთლი, ან მაღალი ჭიქა. წყალი არ
გამოიდგრება. ჭიქის პირს მიუღეთ მილის თავი. ძაბრში ჩა-
ასხით ცოტ-ცოტაობით მარილის სიმჟავე. მაშინვე შუშხუნით




ცარციდან გამოვა ნახშირბადის სიმყავე და მილით გადავა წყლით სავესე ჭიქაში. ნახშირბადის სიმყავე ჭიქიდან წყალს გამოდევნის და იმის ალავს დაიჭერს. როცა ჭიქა დაიცილება, თქვენ გექნებათ იქ მომწყვდეული ნახშირბადის სიმყავე. შემდეგ დასდგით ჭიქა და დახურეთ პრობკით, მინის ნატეხით, ან კარლონის ნაჭერით.




თქვენ შეგიძლიათ მოაგროვოთ რამოდენიმე ჭიქა ნახშირბადის სიმყავე. აი-

ნახშირბადის სიმყავის მიღება.

ღეთ ანთებული წუმწუმა, ახ სანთელი, ჩაუშვით ახლა ნახშირბადის სიმყავით სავესე ჭიქაში; თქვენ დაინახავთ, რომ წუმწუმაც და სანთელიც მაშინვე გაქრება. ნახშირბადის სიმყავე ჰაერზე მძიმეა. ასე რომ, შეიძლება ის ზემოდან დაასხათ ანთებულ სანთელს და გააქროთ. შეიძლება ნახშირბადის სიმყავის ერთი ჭურჭლიდან მეორეში გადასხმა. (სურათი)




ყველამ იცის, რომ ზელტერის



წყალი, ლიმონადი და სხვა თავ ახდის ბოთლში ან ჭიქაში შერ-ხუნებს. ეს იმიტომ, რომ ამ წყლებში ხელოვნურათ შეჩეულია ნახშირბადის სიმყავე, რომელიც იქიდან ამ დროს სწრაფათ გამოდის. მაგრამ დედა-მიწაზე ბევრ ალავას ზოპოება ბუნებრივი მყავე წყლები, ისეივე შუშხუნა, როგორიც არის ხელოვნური ზელტერის წყალი. ამ წყლებს ნახშირბადის სიმყავე დედამიწის გულიდან ამოჰყვება. ასეთია მგალითად: ბორჯომის წყალი (ბორჯომში), უწერისა (რაჭაში) და ნარზანი (კისლოვოდსკში).

ნახშირბადის სიმყავე წყალს გამოდევნის და იმის ალავს დაიჭერს.

6. წუმწუნავე.



ჩარლზ დიკენსი.



ელს ინგლისი დღესასწაულობს დაბადე-
ბიდან ასის წლის იუბილეს უდიდესის
რომანისტის ჩარლზ დიკენსისას, რომელიც
პირველი ნაწარმოებიდანვე შეიქმნა უსა-
ყვარლეს მწერლათ მთელის ინგლისის
ერისა.

დღეს, ასის წლის შემდეგ დიკენსის და-
ბადებისა, სამოცდა თუთხმეტის წლის შემ-
დეგ იმისი პირველის წიგნის გამოსვლი-
სა და ორმოცის წლის შემდეგ გარდაცვალებისა, ჩარლზ-დი-
კენსს ვერავინ შეეცილება პირველობას ინგლისელთა გულის
სიღრმეში.

იგი დაიბადა 1812 წელს, პირველი იმის წიგნი გამოვი-
და 1837 და გარდაიცვალა 1870 წელსა. ოცდა ცამეტი წლის
განმომავლობაში იმან დასწერა აუარებელი რომანები და
მოთხრობები, რომელთა შინაარსი იცის დაახლოვებით, არამც
თუ ინგლისის ერის თვითეულმა წევრმა და მთელ ამერიკის
მცხოვრებთა, არამედ ყოველმა შეგნებულმა ევროპიელმაც.

დიკენსის თხზულების აუარებელი გამოცემანი ღირებუ-
ლი გროშიდან—უდიდეს ფასებამდე, საუკეთესო დასამტკიცე-
ბელი საბუთია ამ სიყვარულისა და თაყვანის ცემისა.

დიკენსი იგივეა ინგლისისათვის, რაც რუსთაველი ქართველთათვის, გოგოლი რუსეთისთვის, სერვანტესი ისპანიისთვის, ვიკტორ-ჰიუგო საფრანგეთისთვის, შილლერი გერმანიისათვის—უდიდესი ეროვნული მწერალი და უკვდავი მსოფლიო ხელოვანი.

დიკენსი მთელის თავისი არსებით, ყოველის სულიერის მოძრაობით და თვისებებით ნამდვილი წარმომდგენელი იყო თავისი ერის საუკეთესო სულიერებისა და თავის ნაწერებშიაც ცხოველ ჰყო ეს ეროვნული სული ინგლისის ხალხისა და ამით მოიხვეჭა ხსენება და სიყვარული დაუსრულებელი. „ჯეჯილის“ რედაქცია შემდეგ ნომრიდან დაიწყებს ბეჭვდას დიკენსის ერთ-ერთს იმის საუკეთესო თხზულებას „დავით კოპერფილდს“ ყმაწვილთათვის შემოკლებით და ბიოგრაფიას ამ უდიდესი ინგლისის რომანისტისას.

ექ. გაბაშვილისა.



„დავით კოპერფილდიდან“

ჩარლზ დიკენსის ცხოვრება



ამა განთქმული რომანისტის ჩარლზ დიკენსისა, ჯონ დიკენსი, ძალიან კეთილი, მზიარული, მაგრამ დაუღვევარი კაცი იყო. ის ჯერ პატარა ქალაქ პორტსმუთში მსახურებდა. მერე ჩატმანში გადასახლდა. იქაც რომ მოსწყინდა, ლონდონში გადაიბარგა. ლონდონში საქმეები სულ დაეხლართა, ფული ვამოვლია და მთელი ოჯახი დიდ გაჭირვებაში ჩავარდა.

ჯონს ექვსი შვილი ჰყავდა: უფროსი ქალი ფანი, მეორე კი ვაჟი, ჩარლზი. დანარჩენები სული პატარები იყვნენ. ჩარლზს პორტსმუთში ძლივს ახსოვდა, ის ორი წლისა იყო, როცა ჩატმანში გადასახლდნენ. ბავშვი ძალიან სუსტი და ავადმყოფი იყო და სხვა ბავშვებთან თამაშობა არ უყვარდა.

კითხვა მან ადვილათ შეისწავლა, მთელი დღეები კითხულობდა. წიგნებს მამა აძლევდა. იმას ძალიან უყვარდა კითხვა, ველურ ხალხის და ავაზაკების ცხოვრების ამბები. მოგზაურობაზე, სიმამაცეზე და სხვა და სხვა თავგადასავალზე კითხვა. ის ხშირად წარმოიდგენდა, რომ სადმე უდაბნო კუნძულზე იმყოფება და თავით ფეხებამდის შეიარაღებულია და ერთ ოთახიდან მეორეში დასერილობდა.

დედა წერა-კითხვას და ლათინურს ასწავლიდა. მერე სკოლაში მიიბარეს. ჩარლზს ეს სკოლა კარგად ახსოვდა, შეტადრე ის მწვანე ველი, საცა ბავშვები ბურთაობდნენ. ჩარლზს ისიც კარგათ ახსოვდა პირველათ თეატრში რომ წაიყვანეს და შექსპირის ტრადედიები უჩვენეს. ამ წარმოდგენებმა ბავშვზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ გადასწყვიტა თითონაც გამოეგონა ტრადედია და დასწერა „მასმარ, ინდოელი სულთანნი“. ეს ტრადედია ბავშვებმა წარმოადგინეს.

ჩარლზი ისე იზრდებოდა, როგორც ჩვეულებრივ სხვა ბავშვები: კითხულობდა, თამაშობდა, ზღაპრებს გამოიგონებდა ხოლმე. მაშინ მის ბედნიერებას სამზღვარი არ ჰქონდა. ლონდონში რომ გადმოსახლდნენ, მისი ცხოვრება სრულიად შეიცვალა.



მამა დიკენსმა ლონდონში სახლი ერთ მიყრუებულ, ვიწრო ტალახიან ქუჩაში დაიქირავა. მართალია პირდაპირ პატარა ბაღი იყო, მაგრამ შიგ იმისთანა გამხმარი, საცობადი ხეები იდგა, რომ კაცს შესვლა-ც-კი შეეზარებოდა. მეზობლათ სულ მოსარეცხე დედაკაცები ცხოვრობდნენ.

ესენი საშინლათ დაღარიბდნენ, ჩარლზი ძალიანა სწყუხდა რომ სკოლაში აღარ დადიოდა და არც წიგნებს კითხულობდა, რადგან მოცალეობა არა ჰქონდა. პატარა და-ძმას უფლიდა; აცმევდა, აქმევდა, აძინებდა, თავის მამას წაღებს და ტანისამოსს უწმენდდა, როცა საჭირო იყო დუქანში გზავნიდნენ. ერთი სიტყვით მთელი დღე იმის ფეხი არ ჩადგებოდა.

ჩარლზს ძალიან ემძიმებოდა წასვლა, როცა მამა ძველ ტანისამოსს დალაღთან გასაყიდათ გაატანდა. ის თვალ-ცრემლიანი დალაღს ეხვეწებოდა, რომ ერთი—ორი გროში კიდევ მოემატებინა, დალაღი-კი დასცინოდა.

რაც-კი ოჯახში გააჩნდათ ყველაფერს ჰყიდნენ, მაგრამ ყველაზე უფრო სამწუხარო იყო ჩარლზისთვის, როცა იმისი საყვარელი წიგნები გაყიდეს. დედ-მამა ბევრს ფიქრობდნენ, რომ თავიანთი გაქირვებული მდგომარეობა გამოეკეთებინათ. ბოლოს სკოლის გახსნა განიძრახეს. დიდი სახლი დაიქირავეს და კარებზე ფიცარი მსხვილი ასოებით დაწერილი „სასწავლებელი“, მიაკრეს. მოწაფეებს ელოდნენ, მაგრამ არავინ არ მოდიოდა. ჩარლზი მთელი დღეები ერთი სახლიდამ მეორეში დაბობდა და დაბეჭდილ ფურცლებს, სადაც სასწავლებლის ქება იყო, ურიგებდა. ბავშვებს მაინც არავინ აბარებდა. მამას ვალები დაატყდა და მოვალეებმა ციხეში ჩასვეს. მალე დედა პატარა შვილებით მასთან გადასახლდა, ჩარლზი-კი დარჩა მარტო ობლათ. საწყალმა ბავშვმა რამდენი დამცირობა, შიმშილ-წყურვილი, სიცივე გამოსცადა, მაგრამ ის აზრი, რომ უსწავლელათ რჩებოდა, ყველაზე უფრო სტანჯავდა და აწუხებდა მას.

როცა ჯონ დიკენსი სრულებით დაღარიბდა, იმასთან ერთი შორეული ნათესავი მივიდა და ურჩია, რომ ჩარლზი მასთან მუშათ მიებარებინა. ამ კაცს ვაქსის ქარხანა ჰქონდა და სამუშაოთ ბავშვებს იყვანდა. ჯონი თავისი უბედურებით ისე იყო შეწუხებული, რომ ვერც-კი მოიფიქრა თუ ჩარ-



ლოზისათვის ქარხანაში მუშაობა რა ძნელი იქნებოდა და დას-
თ. ნხმდა.

ჩარლზი შეუდგა ახალ ცხოვრებას. ქარხანა, სადაც იმას
უნდა ემუშავა, ქალაქ გარეთ, ერთ ტალახიან ქუჩაში იყო.
ძველ დანგრეულ სახლში იმდენი აუარებელი თავგები და
ვირთავგები ბუდობდნენ, რომ დღისითაც კი არ ასვენებდნენ
და ფეხ-ქვეშ ებლანდებოდნენ ყველას. იმ ნაწილში საშინელი
ღარიბი ხალხი ცხოვრობდა.

ქარხნის პატრონმა ჩარლზი მიიყვანა და ქანდარაზე, ერთ
საკუჭნაოში, დააბინავა. მისვლისათნავე მასთან ერთი დაგ-
ლეჯილი გულ-სათარიანი მუშა ბავშვი მივიდა. იმას ბობი ფა-
განი ერქვა. ბობმა უჩვენა ჩარლზს, თუ როგორ უნდა მო-
აკრას პირი ვაქსის კოლოფებს. ჯერ ზეთიანი ქაღალდი უნდა
დაეფარებინა, მერე სქელი, ლურჯი ქაღალდი გადაეკრა და
მაგარი ბაწრით შეეკრა და მერე კოლოფზე დაბეჭდილი ქა-
ღალდი უნდა მიეკრა.

ჩარლზმა ეს ხელობა მალე შეისწავლა, მაგრამ მარტო-
ობა ძალიან აწუხებდა. შემდეგ საერთო ოთახში გადაიყვანეს,
სადაც ბევრი ბავშვი მუშაობდა, იმათ შორის ბობიც.

ყველას თავისი საქმე ჰქონდა, ჩარლზი ყველაზე პატარა
იყო. ბავშვები ხმა მალლა ლაპარაკობდნენ, ილანძვებოდნენ
და უკვირდნენ, რომ ჩარლზი ისეთი ჩუმი და ზრდილობიანი
იყო, ამის გამო მას „ჯენტელმენი“ ღიარებდნენ.

ძნელი იყო „ჯენტელმენისთვის“, ამ უზრდელ, მოუხეშავ
ბავშვებთან ცხოვრება. ისინი არც ქურდობას, თუ კი ჩაივ-
დებდნენ რასმეს, არც უთავბოლოთ ქუჩაში წაწალს და სა-
მიკიტნოში შესვლასაც კი არ უკადრისობდნენ. დამე, როცა
ჩარლზი სახლში დაბრუნდებოდა, და თივით გატენილ ლეიბ-
ზე წამოწვებოდა მთელი ღამეები თავის მომავალზე ფიქრობ-
და, სწუხდა და ტიროდა.

ჩარლზი იმდენად ამაყი იყო, რომ თავის გაჭირებულ მდგო-
მარეობას არავის არ ატყობინებდა. იმის ცრემლების მოწმე
მარტო მისი პატარა ბალიში იყო. მისი ქანდარიდან ცა მო-
სჩანდა, იქიდან ის ვარსკვლავებს შეჰყურებდა და ჰკითხავდა:
„ნუ თუ უსწავლელი უნდა დავრჩე და მთელი ჩემი ძალღონე და
სიცოცხლე ვაქსის კოლოფების შეკვრას უნდა მოვანდომო?“



შემდეგ თავის ცოდნის გამოცდას დაიწყებდა და წარმოადგინებდა იდეებით ჩარლზის მწუხარება, როდესაც შეამჩნევდა რომ რაც კი ესწავლა თანდათან ავიწყდებოდა.

მეორე მწუხარება ემაწვილისა ის იყო, რომ ნახევარზე სულ მშვიერი იყო. შრომის ფასს ძალიან ცოტას აძლევდნენ. და ისიც ისე უნდა გამოეზოგნა, რომ ორშაბათიდან ორშაბათამდე ჰყოფნოდა. ჩარლზი პატარა და გამოუცდელი იყო, ხშირად ძველ გამხმარ შაქრის ჰურს იყიდდა და ჰურის ფული კი აღარ რჩებოდა. პარასკევს ფული რო გამოეღებოდა ის იწყებდა ქუჩა-ქუჩა სიარულს, შურით ღუჭუნების სარკმლებში გამოფენილ ფორთახლებს და ძებვებს შესცქეროდა. როცა იშვიათად ვინმე ერთ ორ გროშს აჩუქებდა ხოლმე—ის მაშინათვე ტკბილეთულობას ყიდულობდა.

შემდეგ ში-კი ცოტათი გამოიცადა. 'შრომის ფასს როცა აიღებდა, შვიდ ნაწილათ გაჰყოფდა, ცალ-ცალკე ქალაქში შეახვევდა, ღლები სახელს დააწერდა და ყუთში შეინახავდა ხოლმე. ჩარლზი ყოველ საღამოობით ვახშმათ თავის ღებ-მამასთან ციხეში მიდიოდა. არც ერთმა ამხანაგმა არ იცოდა, თუ სად იყვნენ ისინი. ერთხელ ჩარლზი ცუდად გახდა, გული შეუწუხდა და იატაკზე დაეცა. ისეთაც ავადმყოფს და სუსტ ბავშვს შიმშილმა სულ ბოლო მოუღო. ყველანი მისცვივდნენ და ძლივს წამოაყენეს.

საწყალი ჩარლზი მთელი ღღე იწვა, საღამოზე სახლში წასვლა მოინდომა. ამხანაგებმა გადაწყვიტეს რომ მისი მარტო გაშვება არ შეიძლება და ბოზმა გაცილება მოინდომა. ჩარლზი დიდ უარზე იდგა, მაგრამ არავინ არ დაუჯერა და ბოზი გაჰყვა, კარგა მანძილი რომ გამოიარეს ჩარლზი ერთ სახლის კარებთან შესდგა, ბოზი დაარწმუნა, რომ აქ არი ამის ბინა, გამოეთხოვა, თანაც გადასწყვიტა რომ, თუ ბოზი უკან მოიხედავს, ის ზარს დააწკარუნებს და თუ ვინმე გამოვა ჰკითხავს: უკაცრაოდ, ქალბატონო, ბოზი ფლავანი ხომ აქ არა სცხოვრობსო?

გადიოდა კვირები, თვეები, წელიწადები და ჩარლზი-კი ისევ ამ ქარხანაში მუშაობდა და მუშაობდა. საწყალმა, ღვთის ანაბარათ მიტოვებულმა ბავშვმა არც ნუგეში და არც აღფრსი არ იცოდა. გასაკვირველია რომ ამ ბავშვებში იგი არ წახ-



და და ქუჩის მაწანწალა არ შეიქნა. სამმა წელიწადმა გამოიკრა ამრიგათ. ჩარლზს იმედი გადაუწყდა, ხასიათი შეეცვალა, უზრდელობას შეეჩვია, სისუფთავეს გადაეჩვია. ისიც სხვებსა-ვით ამოწუწული და დაგლეჯილი დადიოდა.

* * *

ამ ხნის განმავლობაში ჯონი დიკენსი თავისი ოჯახობით ციხეში იჯდა და ჩინებულათ ცხოვრობდა. ბილიარდსაც-კი თამაშობდა იმათთან, ვინც როგორც თვითონ ვალებისათვის ციხეში ისხდნენ. იმას აზრათაც არ მოსდიოდა, რომ იმის ჩარლზი ისეთი უბედური იყო. როცა ვახშმათ მოდიოდა ბავშვი ყურადღებას არც-კი აქცევდნენ. არც ერთი იმათგანი არა ჰკითხავდა, თუ რატომ იყო მოწყენილი, ფერმკრთალი, გამხდარი და ჩაფიქრებულია მარტო ერთხელ ბავშვმა ველარ მოითმინა და ტირილი დაიწყო, მამას ძალიან გაუკვირდა და ანუგეშებდა. ბოლოს გადასწყვიტეს, რომ ჩარლზიც იპათთან ერთად ისაუბმებს ხოლმე. მამა აიმედებდა ყველას, რომ ამათ ბედნიერად გაუღიბებს.

მართლაც ბედმა გაუღიმა. ჯონს ვილაც შორეული ნათესავი მოუკვდა და მემკვიდრეობა მიიღო. მაშინათვე ვალები გაისტუმრა და ციხიდან გამოვიდნენ. მამა ჩვეულებრივ გამდიდრების ჰაზრს არ იშორებდა თავიდან და ბოლოს ძლიერ მოაგონდა, რომ სირცხვილია იმის ჩარლზი ქარხანაში მუშათ იყვეს და გამოიყვანა.

ჩარლზს იმედი მიეცა, რომ იმის ცხოვრება შეიცვლება. ის სკოლაში მიაბარეს. იმ სკოლას სახელი დიდი ჰქონდა და სწავლა-კი მცირე. მასწავლებლებს თითონაც არ ესმოდათ, რას ასწავლიდნენ, ჩარლზი გამხიარულდა, მოლონიერდა და მოკლე ხანში საუკეთესო მოწაფეთ შეიქნა. მეგობრები ბევრი შეიძინა. ის თავის ამხანაგებს არაფერში არ ჩამორჩებოდა ხოლმე. ბავშვები მაგიდის უჯრებში თეთრ თავგებს სწყრთვნიდნენ. შარა გზახე, სკოლასთან ახლოს, გამოდიოდნენ და მათხოვრობდნენ.

ჩარლზი ყველას საყვარელი შეიქნა. ის ისე მშვენიერათ და ნიჭიერათ უამბებდა სხვა და სხვა ზღაპრებს, იმიტანა საშინელ შემთხვევებს გამოიგონებდა ხოლმე, რომ თავზე თმა ებურძვებოდათ შიშით. მეტადრე მთვარიან ღამეში უამბობდა



დაუსრულებლივ. ზოგი ჩატმაში წაკითხული აგონდებოდა და უფრო ხშირად თითონ სთხზამდა. სუყველანი ისე გაერთობოდნენ ხოლმე, რომ ძილიც-კი ავიწყდებოდათ. შემდეგ სახლიდამ გამოგზავნილ ტკბილეულობას შეექცეოდნენ.

ჩარლზი ხუთმეტი წლისა შესრულდა. ჯონს ფული სულ შემოეჭამა და უწინდელი სიღარიბე და ციხე მოელოდა. ჯონსმა გაზეთებში წერა დაიწყო და ოჯახს იმითი არჩენდა, ჩარლზის სწავლის ფულის შეტანა-კი ვეღარ შესძლო და ყმაწვილი იძულებული იყო თავის განთქმული აკადემია მიეტოვებინა.

ის ერთ აღვოკატს მწერლათ დაუდგა. იქ სულ სხვა და სხვა ხარისხის ხალხი დაიარებოდა: მდიდარიც, ღარიბიც, უბედურიც, ბედნიერიც და საცოდავიც. თუმცა ჩარლზი თავიანთი თავის მაგიდასთან იჯდა, მაგრამ ჩუმ-ჩუმად ყველას ათვარიელებდა. ჩარლზს კიდევ სწავლის გზა დაეხშო და თითქო საშუდამოთ ქალოდების გადამწერათ უნდა დარჩენილიყო.

ახლა ჩარლზი პატარა აღარ იყო, ეს დავაჟადა, ჯანმრთელი შეიქნა, ჯანმრთელობასთან სიმზნევეც მოემატა. ახლა თავის თავის იმედი ჰქონდა. თავისუფალ დროს სწავლობდა, სამეცნიერო წიგნებს კითხულობდა. იმის ოჯახი თან და თან გაჭირვებაში და სიღარიბეში ვარდებოდა და ყმაწვილმა დაიწყო სტენოგრაფიის*, შესწავლა. ამ ხელობით ის უფრო ბევრ ფულს მოიგებდა. სასამართლოში და პარლამენტის სხდომების ანგარიშებს მოჰყვა წერას.

ჩარლზს სტენოგრაფიის ნიშნების შესწავლა გაუძნელდა, მაგრამ რაკი საჭირო იყო ბრჯითობამ და შრომამ მიზანს მიაღწევინა. იმას ჩვეულებათა ჰქონდა, რომ რა საქმესაც-კი ხელს ნოჰკიდებდა, რაც უნდა ძნელი ყოფილიყო, იმდენს იშრომებდა, იმდენს ძალ-ლონეს ზედ შეაღვედა რომ მინც თავისას გაიტანდა.

ორი წლის შემდეგ ჩარლზ დიკენსი მთელს ლონდონში საუკეთესო სტენოგრაფათ ითვლებოდა.

ის მიიწვიეს ერთ დიდ გაზეთში, პარლამენტის სხდომე-

*) სტენოგრაფია: იმისთანა სავანა, რომლის ნიშნებით ჩქარა სწერენ არა თუ შარტო სიტყვებს—მთელს ჭაზს ასაც.



ბის დასაწერათ. ხშირად რედაქტორი სოფლებში, და მიყრდნობა ბულ ადგილებში, სადაც ხალხისთვის ვინმე ორატორს სიტყვა უნდა ეთქვა, ჩარლზსა გზავნიდა. ის ხან ქვეითი და ხან ცხენით დაიარებოდა. არც წვიმას და არც ტალახს ერიდებოდა, ერთ სოფლიდამ მეორეში დარბოდა. ზოგჯერ გზა დაებნეოდა, სიცივეში და წვიმაში შარა-მინდორზე გაათევდა ხოლმე ღამეს, თუმცა ეს შრომა ძალიან ძნელი იყო, მაგრამ ჩარლზს მოგზაურობა მოსწონდა, მხიარულად მირბოდა ხოლმე რედაქციისში, რომ გაგონილი ამბები ყველაზე ადრე იმას დაეგეტა.


ჩარლზი ძალიან დაკვირვებული და ამასთანვე გასაკვირველი მეხსიერებისა იყო. ამ მოგზაურობაში გაგონილ ამბებს, ჩვეულებებს, ყველაფერს იხსომებდა და შემდეგ თავის დაწერილ მოთხრობებში ასწერდა ხოლმე.

ბოლოს ამ ყმაწვილ კაცმა თავის ნამდვილ მიზანს და საყვარელ საქმეს მიაგნო: იმან მოთხრობების წერა დაიწყო. პირველში თითონაც არ სჯეროდა, რომ ნიჭი აქვს და დიდის შორიდებით და კრძალვით აძლევდა ხოლმე რასმე რედაქტორს დასაბეჭდათ, პირველ მოთხრობიდანვე დიდი ნიჭი გამოიჩინა და დიდის სიამოვნებით უბეჭდავდნენ. მაშინ-კი სტენოგრაფია მიატოვა და გამუდმებით მოთხრობების წერა დაიწყო.

მუდამ მოტირალს, ნახევრად მშვიერს, საცოდავთ ძონძებში გამოხვეულს, საკუჭნაოში ქანდარაზე მოკუნტულს, რომ სცოდნოდა თუ რა დიდება და სახელი მოელოდა მას!

განა ესმოდა ამ საცოდავს, რომ ყველასაგან მიტოვებულს, უბედურ ცხოვრებაში ჩაბმულს, ყველა ეს გამოცდილება სკოლაზედ მეტს ასწავლიდა?

ჩარლზ დიკენსი დიდებული კაცი შეიქნა. ყველას იმისი გაცნობა დიდ ბედნიერებათ მიაჩნდა. იმისი ნაწერები მრავალი იყიდებოდა როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში და ყველანი სიამოვნებით კითხულობდნენ. ახლა ის გაძლიდრდა და იმისი დედ-მამაც მდიდრულათ ცხოვრობდნენ. იმის ბავშვობაში გამოვლილი გაჭირვება და უბედურება არავინ არ იცოდა, თავის საყვარელ ცოლისთვისაც-კი არ უამბნია. მარტო სიკვდილის წინად თავის საუკეთესო მეგობარს ფორსტერს უამბო.



ჩარლზმა ძალიან ღამაში ქალი შეირთო და ოთხი შვილი ეყოლა. ის ბევრს მუშაობდა და ბედნიერათ გრძნობდა თავის თავს. აი რას სწერს ერთ თავის მეგობარს:

„როცა წვეულებაში ვარ, იმოდენა ხალხი მეხვევა გარს, რომ სუნთქვა მეხუთება, ეკლესიაში ხალხი მღვდლის ქადაგებას კი არ უგდებს ყურს, მე შემომცქერის. ვაგონში კონდუქტორები მემუხაიფებიან. სადგურზე რომ გამოვალ აუარებელი ხალხი შემომესევა, მიყურებენ პირს როგორ ვაღებ და ლუკმას როგორ ვყლაპავ“.

დიკენსი ხშირად მოგზაურობდა და ასწერდა ხალხს მოგზაურობის ამბავს. პირველად რომ ამერიკაში იყო, იმან იქაურ საპყრობილეებს ყურადღება მიაქცია. იქ ტუსადები ცალ-ცალკე პაწაწკინა ბნელ ოთახებში სხედან, მთელი კვირაობით ეზოში არ უშვებენ. ერთ ოთახში ათი წლის ბავშვი იჯდა. ჩარლზს გაუკვირდა და ზედამხედველს ჰკითხა: რა დანაშაულება ჩადინა ამ ბავშვმაო?

— ეს დანაშავე არ არის ბატონო, უბასუხა ზედამხედველმა, ეს მარტო ერთი საქმის მოწამეა.

— მერე უსამართლობა არ არის ამ ბავშვის ციხეში დამწყვდევა?

— რა ვიცი, ბატონო, უბასუხა ზედამხედველმა. ეკ ჩემი საქმე არ არის.

დიკენსი ისე აღელვებულიყო, რომ ყველას უამბებდა და ამერიკის წესებს ჰკიცხავდა.

იმის ამერიკაში მოგზაურობის აღწერა რომ დაიბეჭდა, ამერიკელები ძალიან გაუწყრნენ და უკმაყოფილები დარჩნენ. დიკენსს მოგზაურობა უყვარდა და რადგან იმ დროს რკინის გზა იშვიათი იყო, იმან ერთი დიდი დახურული ეტლი ვაკეთებინა და თავის ცოლ-შვილით ისე მოგზაურობდა.

დიკენსს თეატრი უყვარდა და პიესებსაც სწერდა. ხშირად წარმოდგენებს თავის სახლში მართავდა, თითონაც თამაშობდა, ზოგჯერ თავის მოთხრობებიდამ ნაწყვეტებს კითხულობდა. ბოლოს მთელი წრე შეადგინა და ეს სცენის მოყვარეები პატარა ქალაქებში და სოფლებში დადიოდნენ და თამაშობდნენ, შემოსავალს-კი ღარიბებს ურიგებდნენ.

ამდენი შრომა დიკენსმა ვერ აიტანა: ის დღე-დღეზე სუსტდებოდა. მახლობლები და მეგობრები ეხვეწებოდნენ დაესვენა, მაგრამ ის სულ იმას იძახდა ღიმილით:

— უფრო უკეთესი არ არის, რომ კაცი შრომაში მოკვდეს!

ერთ დილას ის ჩვეულებრივ თავის ოთახში მუშაობდა, შემდეგ სადილათ გამოვიდა, სუფრასთან მისვლა ვერ მიასწრო, წაიქცა და გონება დაჰკარგა. მაშინათვე ქვეშაგებელში ჩააწვინეს და მეორე დღეს გარდაიცვალა.

შვილები თავის საყვარელ მამას სტიროდნენ და ინგლისი-კი თავის საუკეთესო ბამულიშვილს.

დიკენსს ბავშვები ძალიან უყვარდა, მეტადრე ლარიბი და უპატრონო. თავის მოთხრობებში იმათ ცხოვრებას ხშირად ასწერდა.

ექ. მესხისა.




მტკვარი, ჭოროხი და რიონი

ამათ სათავეთა ბუნება და ხალხი.

(შგზაგრის დღიურიდან)

წერილი მეორე

ქურთთა ცხოვრება, კუნძულთ ხელმწიფე და ღვრინჭილები, სამოთხე და მონები, ცოტა რამ ისტორიიდან. ქურთი—განთქმული ამირ-სპასალარი თამარ-მეფისა, ქურთი პირველი **ბთაბაგი** საქართველოსა და ქურთი აფხაზეთის მთავარი. ქურთი **სალახ-ად-დინი ეუბადის** დინატიის დ. მთარსებელი.



ჩვენ მასპინძელს ქურთს, ასლან-ალა-ედი-გარ-ოღლის, სადარბაზოთ მოერთო თავისი ქოხი— ბინა, შავი ნაბდით წამოჩარდახე-ბული. წითლებში დართული გოგო-ბიჭო-ლა, კარვებთა გარშემო მხიარულათ დახტო-დენ, დარბოდენ, თამაშობდენ, კუნტრუ-შობდენ, მათი ჟივილ-ხივილი მთის უმწიკვე-ლო ჰაერში ზარივით წკრიალებდა. დაგვი-ნახეს თუ არა ჩვენსკენ გამოიქცნენ ჩილიკა-ჯოხებით შეიარაღებულნი, ამათ ფეხის ხმას აჰყვენ, აედევნენ ქოთაკი ძაღლებიც.

მამასახლისი (მასპინძელი) გაუჯავრდა ძაღლებს და ცნობის მოყვარე ბავშვებსაც დარიგება მისცა, პირ-მოცინარე მოვვეგება და „ხოშ-გიალდიზ“-ო სალამი მოგვცა, რამდენათაც ოსმალური ზრდილობა— ეთიკეთი მოითხოვდა, მეც ჩემის მხრივ სალამ-ქიალამი არ დავაკელი.

ქალი და რძალი წითელ კაბებში საპარასკევით (მუსულ-მანთა კვირაა) იყვენ დართულნი: ვერცხლის ქამარი, ხოლო თავ-მკერდი ვერცხლის ფულით და ღვრინჭილებით აჭრელე-ბული, ამათი სადილობა გადასულიც იყო, ყველაფერი ეტყო-ბა მზად ჰქონდათ და წამსვე სუფრის თადარიგს შეუდგენ, ხალ-მუთაქაზე რო დამაბძანეს, მოხუცმა დიაახლისმა დარ-ბაისლურად მომიკითხა: — „ხოშ-გიალდიზ, საფა-გიალდიზ“-ო.

უნდა შევნიშნოთ, რომ ქურთის დედაკაცი სრული თავი-სუფალია. ქურთის ქალმა პირ-ბადე და ჩადრები რას ჰქვია, სრულებითაც არ იცის. ქალის ამისთანა თავისუფლება აზიაში



არც ერთ ხალხს ადათად არა აქვს. მამა-კაცს გინდ ნათესავს და გინდ უცხოს თავისუფლათ პირ-მცინარეთ ებასება, ქურთების ბანოვანს ხშირად მარტოოდენ ბიჭები ემსახურებიან. ქალწულს ათხოვებენ 10—12 წლისას, საჭრმოს მოაქვს ქალის სამზითვოთ სასყიდელი. მრავალ-ცოლიანობას უფრო წარჩინებული და შეძლებული ქურთები—ასირეთები თუ მისდევენ. ხოლო ქურთებ-გურანებში ამ ადათით სარგებლობა უხერხულათ მიაჩნიათ. მეტად იშვიათია, რომ ამათში მამა-კაცი დედა-კაცს უზრდელათ, უდიერათ მოექცეს.

ქალთა ტანსაცმელია: გულ ამოჭრილი მოკლე კაბა, ისე როა კოკებთან შეკრული ფარჩის შალვარი უნდა უჩანდეს. თავზე ჩიხტასავით რადაცაა იხურავენ. ნაკერ მოკლე ლეჩაქის ქვეშიდან მხოლოდ სჩანან ჩიხტაზე შემოვლებული ვერცხლის ან ოქროს ფულები და თუ მდიდარია მარგალიტის ასხმულა—ძაფიც უვლია. კავების მაგიერ მარგალიტის შულოები აქვთ ჩიხტიდან წამოსული და ყურზე გადადებულნი, პატარა თავშალს არ იშორებენ. ტანზე აცვიათ კაბის ქვეშ ახალუხი და თუ მდიდარია მოკლე ქათიბა ანუ ჯუბა კაბის ზემოდან. შეძლების და გვარად ჯუბა-ქათიბა ან მაუდისა ანუ ფერადი ხავერდისა ოქრო-მკედით ნაკერი, ფეხთ-საცმელია ბაჩუჩი და მესტ-ფლოშტები.

ტანსაცმელი ვაჟკაცისა არის: გრძელ ხამის პერანგზე ან მოკლე ან გრძელი ჩითის ახალუხი, თეთრი მიტკლის შარვარი და მოკლე ჩოხა. თავზე ფიასიც რო დაუმატოთ ძრიელ წააგავს ამათი ჩაცმულობა აღბანიელთა ჩაცმულობას.

სულ სხვაა თუ ქურთი შეძლებულია: ქულაჯა ბეწვით მორთული, მაუდის შარვარი, წულები, მაუდის ან შალის მოკლე ჩოხა და თავზე წითელი ფიესი ანუ ბუხარის ქუდი. ფრჩხილებს და თითებს ქალიც იღებავს და ვაჟიც—უფრო კი საქორწილოდ და საბედნიერ-დღეოთ. ვაჟ-კაცთ არ მოსწონთ თავზე გრძელი თმა, —თუ არ მოხუცნი, ახალგაზდანი წვერსაც არ იყენებენ, უღვაშებს-კი ძრიელ თავმომწონეთ ივრებენ. უვლიან.

თავი და თავი სასახელო საქმე ქურთ ვაჟ კაცისთვის თოფ-იარაღი და ცხენია ხანჯალი განუშორებლივ არტყიათ, ლოგინშიაც კი თავ-ქვეშ უდევთ, მოკაკულ ხმალს, დამბაჩას უფრო მხედრები ატარებენ. ამათსავე კუთვნილებას შეადგენს

გრძელი, ექვს ადლიანი შუბი თავზე მწვეტიანი რკინით, წითელი ფოჩით მორთული. ზოგჯერაც საჯირითოდ აქვთ უნაგირზე აბგით უკიდია ჯოხები და თუ საომრად მიდის ხელით სასროლი ბასრი ისრებიც.

გაშალეს ჭრელი სუფრა. ამ დროს ქურთების მოლაპროკვათა თავის თეთრი სარუხით. *)

— ებრაელო!

— ბრძანე ბატონო...

— შენ ერთი, დანიელ. ეგ მოლლა გვერდზე მოისვი. მაგასთან ბევრი რამ მაქვს სალაპარაკო.

მოლლამ დარბაისლურათ, ბატონ-კაცურათ მოიკეცა სუფრაზე და ხელი ჩემკენ გამოიშვირა:

— ეი—სიზ ალა? ნეჯა-სიზ?.. ხოშ-გიალდიზ, გიეზ-უსტა გიალდიზ“-ო მომიკითხა და მეც სამაგიერო ვადუხადე.

მოგვართვეს სადილი: ყველი, კარაქი, ერბო-კვერცხი, კიტრი, წვანილი და შემდეგ ქათმის ჩიხირთმა, ბატკნის იაღნი, ყაურმა და ფლავი. სუფრის ბოლოში-კი უფრო ბოზბაში იხარჯებოდა. მთლად სადილი ერბოსა და ქონში ცურაობდა, მერე მოიტანეს ტკბილი ბიშები ერბოში მოხარშული და სხვ...

— დანიელ ხახამო! აბა შენ ჩემო გაჭირვების ტალკვესო შინაურულათ მოახერხე, რომ სადილის შემდეგ შემემძლოს ჩაის დაღვევა, თორემ ამოდენა სიმსუქნე რა გულმა უნდა აიტანოს— აგერ ერბო ყელში მიჭიყ-ჭიყებს.

— იცი ბატონო მე მოლლას უჩურჩულებ...

— რა მოლლა გინდა შე კაი კაცო, აი ემაგ ჭრელ თვალას უჩუმრა უთხარ: „ყიზი, ერთი გაისარჯე თუნგით წყალი მიდგი-თქო...“

— ნუ სწუხთ, ბატონო, ეგ ყველაფერი იქნება, მოლლა მოახერხებს...

*) სარუხი—მაცქმადანთა თავსახურავია, (უფრო მოხუცნი იხურავენ), ხაფო მთლად და საზოგადოთ სასუფიერო წოდება თავზე თეთრ სარუხებს იხურავენ—ეს არის მათი განსხვავებითა ნიშანი. ვინც მექაში უოფიჯა ქაჯი-ს უძახიან და მათ სარუხიც განსაკუთრებული კეთუნის და სარტყელსაც შადისას ატარებს.



— დანიელ ხახამო! ხედავ ე მაგ ლამაზ ყიზის რამდენი ლოკოკინები დაჰხვევიან თავსადებზე და გულ-მკერდზე?!

— ეგ, ბატონო, ლოკოკინა კი არა ღვრინჭილები უკერიათ...

— მართალი ხარ, დანიელ, მაგრამ ღვრინჭილაც ჩვენი ბალ-ბოსტნის ლოკოკინას მონათესავე ცხოველია, მხოლოდ ზღვაში-კი სცხოვრობს... შენ ერთი ე მაგ მოლლას ჰკითხე, დანიელ, უფრო სილამაზისთვის, სამკაულათ იკეთებენ, თუ სხვა რამ მნიშვნელობაც აქვს...

— ეგ ბატონო, რა უნდა ვკითხო... ავის თვალისა ეშინიანთ და იმიტო იკერავენ აბგაროზისავით... მაკრამ ღვრინჭილა ცხოველი როგორ იქნება?!

— მოიცა, დანიელ, აი ახლა გაიგებ რო ღვრინჭილა მართლაც ცხოველია. ავი თვალისა-კი რა მოგახსენო და ის-კი ვიცი, რომ მაგ ღვრინჭილებს დღესაც ფულის ადგილას ხმარობენ, მეტადრე უწინ, ვიდრე ფულს გამოიგონებდენ, ღვრინჭილა დიდ ხმარებაში იყო აფრიკაში. მაგალითად სუდანში და საზოგადოთ აღმოსავლეთ და დასავლეთ აფრიკის ნაპირებზე. აქ დღესაც მთავარი სავაჭრო და საწყობი ადგილი ღვრინჭილასი ქალაქი ზანზიბარია.


— ღვრინჭილას, ბატონო, მეც ვყიდდი არზრუმში და ახალციხეშიაც, ჩვენებიც ხმარობენ—ბავშვის აკვანს უკეთებენ, ფუფალაზე უკერავენ თვალი არავენ ჰკრას ბავშვსაო. მე გამიყლია წყვილი ექვს გროშათ, ხან შაურათაც, ნეტა იქ-კი როგორ-ლა ფასობს, ბატონო?..

— მოიცა, დანიელ, მაგასაც გეტყვი—შენ ერთი ჩაი არ დაგავიწყდეს.

„ღვრინჭილას მეცნიერულად ეწოდება კიპრეა—მონეტა, *Cypraea moneta*. —ჰო და მანეთი ხო ფულია, ეს ლოკოკინები ინდოეთის ოკეანეში სცხოვრობენ.

„ციელონის კუნძულის სამხრეთით 17 ჯგუფია მარჯნის კუნძულებისა, რომელთაც მალედივთა კუნძულებს უძახიან. ამ არხიპელაგზე სცხოვრობს 30,000 სული მალედიველი მაჰმადის რჯულისა. ეს ამოდენა ხალხი, ინდუსები, მხოლოდ ამ ხელობას ადგიან; აუარებელი ღვრინჭილა ამოაქვთ ზღვიდან და აქედან გზავნიან ცეილონს, ზალაბარს და მასკატს. ამობენ ღვრინჭილებს თვეში ორჯელ ჰკრეფავენო: ერთი ახალ

მთვარის სამი დღის წინეთ და ერთი ც.სამსე მთვარის სამი დღის შემდეგაო. აგერ დანიელ, თუნგით აღუდებული წყალი მოაქვს




ღვრინჭილები.

მოლლას და ახლა შენ იცი... ჰო და ზემოხსენებულ კუნძულებს თავიანთი სულთანი ჰყავთ, კუნძულთა ხელმწიფე, ხოლო ხარჯს ინგლისელებსაც აძლევენ—ყველა ხარჯს ღვრინჭილათი ისტუმრებენ.

— ჰაი დიდება შენდა ღმერთო, მანდ ბატონო, რალა უნდათ ინგლისელებს!?

— ეჰ! შენ ჩემო დანიელ, ინგლისელები სად არ არიან! სადაც ზღვა და კუნძულია იცოდე რო იქ ინგლისის ხომალდიცა სდგას, ინგლისის დროშა—ბაირალი ფრიალებს. ეგ რათ გინდა, დანიელ, ავიღოთ თუნდ ცეილონის კუნძული. მოსეს რო სკოდნოდა ეს უმშვენიერესი წალკოტი, მაშინ როდი-ლა დასწერდა რო სამოთხე მდინარე ტიგროსის და ეფრატის შუა იმყოფებოდაო, იქ-კი არა, დანიელ, ნამდვილი ედემი და ადამ—ევას სამოთხე, სწორეთ რო ცეილონია. ცეილონის კეკლუც ბუნების სიმშვენიერე, სიმდიდრე და სიუხვე ვერა კალმით ვერ აიწერება და ვერც დაიხატება. ჰაერი, ჰავაც შეტადრე მთის კალთებზე ისეთია, რო ამისთანა სალი და კეთილ შეზავებული მთელ დედამიწის ზურგზე არ მოიპოება. ადამიანი აქ ზამთარ-ზაფხულ ტანშიშველა, დედიშობილა დაიარება; ხილი ხო თავზე საყრელია, პურიც-კი ხეებს ასხია. არის იმისთანა ჯიშის პურის ხე (*Artocarpus L.*) რო თითო მისი ნაყოფი 25—30 გირვანქას იწონს. ჰო და, დანიელ, აი ამისთანა კუნძული, ეს ქვეყნის თვალი, ინგლისელებს ეკუთვნის.



— ჩემი რჯულის მადლობა, მოსე ტყუილს არ დასწერდა, ბატონო. აი ჩაიცი მოგართვეს, „კრიპუსკით“ მიირთმევთ თუ დაშაქრულს?

— შესთავაზე მოლლასაც...

— ამათზე ბატონო, ნუ რას სწუხართ გვიამბეთ, გვიამბედ...

— ჰო და რაღა ვიამბო... როგორც გითხარ ადგილობრივ და მეზობელ ქვეყნებში, მაგალითად ჩინეთში, სიამში და სხვ... ღვრინჭილა დღესაც ფულის ადგილას იხმარება, იქ სიმდიდრე ღვრინჯილას რაოდენობით განიზომება. მაგალითად იმ კუნძულთ ხელმწიფეს წელიწადში 30 მილიონი ღვრინჭილა შემოსავალი აქვს, ხოლო ღვრინჭილათი დატვირთულ გემებს უმთავრესად აფრიკისკენ ისტუმრებენ მონების სასყიდლოთ. აფრიკის ნავთსადგურიდან ღვრინჭილათი სავსე ტომრებს მცირეოდენს ევროპისკენ გზავნიან და აუარებელი ღვრინჭილა-კი აქლემთა ქარავნებით აფრიკის შუაგულს შეაქვთ ველურ ხალხში და აქ მონებზე სცვლიან. იქაური დიდ-კაცობა ანუ თავადობა ღვრინჭილებით მორთავენ ხოლმე დარბაზში შესავალ კარებს, სავარძელს, ცხენის იარაღს და სხვა ავეჯეულობას, აგრეთვე იკერვენ ქალები ტანისამოსზე—გულ-მკერდზე და სხვ... 40 ღვრინჭილა ერთი ასხმულაა, 50 ასხმულას თავი ჰქვიათ, ხოლო ათი თავი ერთი ტომარაა, ზოგან თითო ასხმულაში ასი ღვრინჭილა იციან, შეიდასი ათასი ღვრინჭილა 990 მარკად ღირს.

— ე... და...ერთი ღმერთი გადღეგრძელებდეს, ბატონო, ისევე ჩვენებურათ იანგარიშე...

— ჰო და, დანიელ, ჩვენებურათ რო ვიანგარიშოთ ათასი ღვრინჭილა თოთხმეტი შაური მოდის. დასავლეთ აფრიკაში ღვრინჭილებს სცვლიან ოქროიან ქვიშაში, სპილოს ძვალში, ლერწმის ღვინოში და სხვ. ერთ დროში მთლად აფრიკის მონებით ვაჭრობას ღვრინჭილათი აწარმოებდენ. 500 ან 600 მონას ჰყიდულობდენ თორმეტი ათას გირვანქა ღვრინჭილათი. მე-XVIII საუკუნეს ნახევარში ღვრინჭილას ფასმა იმდენად დაიწია რო თითო ზანგი—მონა ერთი ორათ ფასობდა...

ილ. ალხაზიშვილი.

(შემდეგი იქნება)



სახალხო უფელ-დღიური გაზეთი საკოლმისტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის.
უფელ-დღიურ გამოცემის გარდა 1912 წელსაც
გაზეთს ექნება

სურათებიანი ღამათუბა (კვირაობით)

პრემია 1912 წლის ხელის გრდემლი მომწერთ მიეცემათ

ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების
კრებულის პირველი ტომი.
როგელიც „სახალხო გაზეთის“ ჩამატებამ სრულ
საკუთრებად შეიძინა.

კრებული „გრდემლი“ დაახლოვებით 500 გვერდიანი იქნება.
იბეჭდება და ხელის-მომწერთ იანვარშივე დაურიგდება.

გაზეთის ფასი
წელიწადში **8 გ. ლა 50 კ.** ცალკე №
შაურად. ღამათუბიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8	7.50	6.75	6	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტე 25 კაპ

ადრესის გამო- ტფილისისა ტფილისის გარედ, ან ტფილისის
საცვლელი ფასი გარეთისა ისე ტფილისის გარეთისაზე **40 კაპ.**

ღანარჩენ შემთხვევებში უფასო.

ექვსი უაური უნდა გალიზდოს კიდევ იმ ხელის მომწერმა.
რომელსაც სურს კრებული „გრდემლი“ მი-
იღოს ფოსტით. ქუთაისისა, ბათუმისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის
ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას ადგილობრივ აგენტთაგან.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი **ნაწილოებით**
8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ
მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის
მოწერისათანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და
ღანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხო-
ლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:

- 1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში, (სახალხის ქ., სარაჯიშვილის
სახლი, შესავალი ეზოდან).
- 2) ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში.
- 3) ფოსტით: Тифлисы, газ. „Кавказская Газета“. П. Яц. 190.

ჯ ე ჯ ი ლ ი



საემაწვილო ნახატებიანი ჟურნალი.
ოცლა მესამე წელიწადი.

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის

გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა, ზეცარებისათვის და მოხრდილთათვის.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ეღირება 4 მან., ქალაქ გურეთ (გავსაზნით) 5 მან.

ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ.

ქალაქ გურეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ:

ქუთაისში—ისიდორე კვიციანიძეს.

ბაქოში—ქალ. მართა კვიციანიძეს.

მინაილოვში—ვლად. ჩიქოვანს.

გორში—კნ. თამარა თარხნიშვილს.

სამტრედიისში—რაჟდენ ნანეიშვილს.

თელავში—კნ. ნ. ჩოლოყაშვილს.

სიღნაღში—კნ. ნ. ანდრონიკაშვილს.

ჭიათურაში ქალ. ჯაფარიძეს და —ნიკოა წუწუნავას.

ბათუმში—მიხეილ კალანდაძეს.

ფოსტის აღრეხი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джелжили“

რედ.—გამომცემელი ან. თუმანაშვილი წერეთლისა.

Продолжается подписка на 1912 г.

Политическая общественная и литературная ежедневная
газета

годъ „Закавказье“ годъ
(VII) „Закавказье“ (VII)

Подписная цѣна:

Для городскихъ
подписчиковъ:



Для иногородныхъ
подписчиковъ:

На одинъ годъ . . . 6 р.

На одинъ годъ . . . 8 р.

На полгода . . . 3 р. 50 к.

На полгода . . . 4 р. 50 к.

На три мѣсяца . . . 2 р. 25 к.

На три мѣсяца . . . 2 р. 75 к.

На одинъ мѣсяць . . . 75 к.

На одинъ мѣсяць . . . 1 р.

За границу вдвое.

За перемѣну адреса городского на иногородный—1 р., съ иногороднаго на иногородный—50 к.

Отдѣльный номеръ 5 коп.

Редакція открыта отъ 10 до 3 час. Редакторъ принимаетъ для личныхъ переговоровъ отъ 2 до 3 час. дня

Редакція и контора помѣщается въ Тифлисъ, на Дворцовой ул., въ домъ грузинскаго дворянства. Телефонъ редакціи № 971.